ბრძოლის ხმა

1930 წ. მარტი
პარიზი

№ 5

1930 — MARS
Paris

ყოველთვიური ორგანო საქ. სოც.-დემ. მუშ. პარტ. საზღვარგარეთელ ბიუროსი ⁝ «L' ECHO DE LA LUTTE» — Revue mensuelle duParti Social-Démocrate Ouvr. de Géorgie.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანარქიის მორევში

საბჭოთა კავშირის მდგომარეობა დღით-დღე რთულდება. ბოლშევიკური ხელისუფლება მის მიერ შექმნილ წინააღმდეგობათა ქსელში იხლართება და იბნევა. გამოსავალი არსათ სჩანს.

ან კი ვინ წარმოიდგენდა ერთი წლის წინეთ, რომ ტროცკის მოძღვრება, იმ ხანათ კომუნისტურ მწვალებლობათ ცნობილი, ასე მალე ხორცს შეისხამდა, საბჭოთა კატეხიზმოთ გადიქცეოდა და მის ცხოვრებაში გატარებას ცეცხლითა და მახვილით შეუდგებოდენ!

აქ რასაკვირველია საყურადღებოა არა ის გარემოება, რომ კოლექტივიზაციის გასატარებლათ ნახევარი მილიონი «კულაკი» უნდა გაქლიტონ ან კატორღაში და შორეულ ციმბირში გადაასახლონ. აქ აღსანიშნავია არა ის ფაქტი, რომ მთელ საბჭოთა კავშირის მანძილზე წარმოებს «კულაკთა» და «კონტრრევოლიუციონერთა» ოჯახების მოთხრა და ცარიელ-ტარიელათ ქუჩაში გაყრა შიმშილისა და სიცივისაგან გასანადგურებლათ. აქ ხომ ახალი არაფერია. აკი კომუნისტურ ტერორს მთელი კაცობრიობა გაცნობილია. საბჭოთა ხელისუფლებამ ჯერ კიდევ 1922 წელს გასწირა შიმშილისაგან სასიკვდილოთ 5 მილიონი მცხოვრები, ოღონდ გადაარჩინოს ჩეკა და მუქთახორა კომუნისტთა ლაშქარი. ეს ხომ დიდი ხნით ცნობილი ამბავია, საბჭოთა რეჟიმის საფუძველია, მისი თანდაყოლილი ჭირი და სენია.

ახალია მხოლოდ ის გარემოება, რომ საბჭოთა ხელისუფლება ვერ ასწრობს ახალი კანონი გამოსცეს, მის გასატარებლათ «დამკვრელი» მუშათა რაზმები დანიშნულ ადგილებში გადაისროლოს, რომ იძულებული ხდება უკან დახევას შეუდგეს და რასაც გუშინ აქებ-ადიდებდა, უკან წაიღოს, არა და მისი გადაკეთების აუცილებლობა საჯაროთ აღიაროს.

გადაიკითხეთ ბ. სტალინის წერილი კოლექტივიზაციის გატარების შესახებ და თქვენ დაინახავთ, რომ ის ისეთ მდგომარეობაში ჩავარდა, რომ არ ერიდება თავის მიმდევართ. რომელნიც მის ბრძანებებს სიტყვა-სიტყვით ასრულებენ, ახალი «გადახრა» დასწამოს, «რეაქციონერთა» იარლიკით შეამკოს და მათი საქმიანობა «იდიოტთა» ვარჯიშათ მონათლოს. რასაკვირველია ყველაზე უკეთ თვით სტალინმა იცის, რომ ადგილობრივ ხელისუფლება, რომელიც მის ბრძანებებს ასრულებს, აქ არაფერ შუაშია. თევზი თავიდან ლპება, კომუნისტურ რეჟიმის არევდარევა თვით კრემლში მზადდება.

ვინც ოდნავ მაინც თვალს ადევნებდა მოსკოვის დიქტატორთა საქმიანობას, მისთვის აშკარაა, რომ ტროცკის პლატფორმა მათ იძულებით მიიღეს. გაცრუვდა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის მიზნით უცხოეთში საჭირო სესხის აღების იმედი, რა დარჩენოდა კომუნისტურ ხელისუფლებას, თუ არ ცდა ამავე მიზნით საბოლოოთ გაკრიჭოს მუშა-მოსამსახურენი, განსაკუთრებით კი გლეხკაცობა, რომ ხალხის გაძარცვით გაიუმჯობესოს თავისი ეკონომიურ-პოლიტიკური და სამხედრო მდგომარეობა! მაგრამ დახე უბედურებას! გლეხი ურჩი გამოდგა. ინდუსტრიალიზაციის სესხის ასაღებათ და პურის ასაკრეფათ გასულ შემოდგომაზე აუცილებელი შეიქნა სოფლათ დამსჯელ ექსპედიციების დაგზავნა და ახალ სამოქალაქო ომის გაჩაღება. ან ურჩთა დამორჩილება ანდა არსებულ ძალაუფლების დამხობა—ასეთია დილემა. და აი სტალინიც იძულებული შეიქნა გლეხთა საბოლოო გაძარცვას შეუდგეს, «კულაკთა» მოსპობა თავის მიმდევართ მიანდოს და ამ მიზნით სოფლის კოლექტივიზაციის გატარება «სოციალისტურ აღმშენებლობის» აუცილებელ სადღესიო საფეხურათ მონათლოს.

მას შემდეგ არ გასულა რამოდენიმე თვეც კი, რომ სტალინი კვლავ უკან დახევას ლამობს. ეს აღებულ კურსის გაკოტრებაა, გლეხთა მიმართ კომუნისტურ პოლიტიკის დამარცხების ოფიციალური დასტურია. რომ საბჭოთა რეჟიმი თუნდაც დროებით მომაგრდეს, აუცილებელია კულაკის მოსპობა. მაგრამ ეს კომუნისტურ ხელისუფლების ძალღონეს აღემატება. ეკონომიურ კანონთა დამორჩილება არავის ძალუძს. და აი წაჯექ-უკუჯექობა გრძელდება. რასაც გუშინ ამკობდენ, დღეს აძაგებენ, რასაც წინეთ გენერალურ ხაზათ ნათლავდენ, დღეს გმობენ და ასე თავის მიმდევართა რაზმების დამლას თვითვე აწყობენ. საითაც გაიქცევი, იქით წაიქცევიო, სწორეთ ეს არის.

საბჭოთა ხელისუფლების მთელი საქმიანობა ამხანათ ნაკარნახევია არა მოვლენათა ობიექტიური განსჯა-გაზომით, არამედ აბობოქრებულ ტალღების წინაშე უზომო შიშით.

დიქტატურამ რუსეთში წელში გატეხა დემოკრატია, მას სამოქმედო ასპარეზი დაუხშო. ასეთ დროს ეკლესიის გავლენა სწრაფათ გაიზარდა, მორწმუნეთა ლაშქარი უფრო აქტიური შეიქნა. ეს ხომ საბჭოთა რეჟიმისათვის ახალ საფრთხის წარმოშობაა. და აი მოსკოვის ხელისუფლებაც იძულებული ხდება ეკლესიის საბოლოო ლიკვიდაციას შეუდგეს და ხუცები და რაბინები დააპატიმროს ანდა გაქლიტოს. და აი შედეგი: მთელი მსოფლიო ამხედრდა, ანტირელიგიურ კამპანიას გმობს, კომუნისტურ ბარბაროსობის წინააღმდეგ ილაშქრებს, სინიდისის თავისუფლებას ექომაგება და საბჭოთა კავშირის იზოლიაციას ამზადებს.

გენერალ კუტეპოვის გატაცება თუ ახალ «წითელ დღეების» დანიშვნა და საბჭოთა აგენტების ქუჩებში არეულობის მოსახდენათ გაწვევა. ყველაფერი რასაც მოსკოვი აკეთებს, რათა მტრებს თავისი ძალა-გავლენა აჩვენოს და ისინი დააფრთხოს, სავსებით წითელ დიქტატურის წინააღმდეგ იმართება, საბჭოთა რეჟიმის დაუძლურებას ამჟღავნებს და ყველასათვის ცხადყოფს იმ გარემოებას, რომ მოსკოვმა მესაჭეობა უკვე დაკარგა და ის უგზო-უკვლოთ აქეთ-იქით მიეხეთქება. ამ დაუძლურების შედეგია ის გარემოებაც, რომ არა მხოლოდ ინგლისი, არამედ უკანასკნელ დროს გერმანიაც კი საბჭოთა კავშირის მთავრობას კომინტერნის მთელი მოქმედებისათვის პასუხისმგებლათ აცხადებს.

ასე საგარეო იზოლიაცია ფართოვდება და აშკარავდება. შინაური საფრთხე იზრდება. და აი დამფრთხალი კომუნისტური ხელისუფლება ერთათ-ერთ იარაღს—ტერორს მიმართავს, რაც მას ჯერ კიდევ შერჩენია. ეს აძლიერებს ტერორს ქვევიდან, იწვევს ბოლშევიკთა გაქლეტას სოფლად და ქალაქად. ამას დაურთეთ გლეხთა ამბოხება საბჭოთა კავშირის სხვა და სხვა კუთხეში, რაც კოლექტივიზაციისა და ბოლშევიკების სხვა ეკონომიურ ზომათა აუცილებელი შედეგია, და თქვენთვის ნათელი იქნება, რომ საბჭოთა დიქტატურა უკვე შეცურდა ანარქიის მორევში.

კრემლი უფრო და უფრო ემსგავსება იმ უიალქნო გემს, რომელსაც ზღვის ტალღა აქეთ-იქით მიაქანებს, სანამ მას უფსკრული ჩანთქავდეს.

სტიქიის ამოძრავება საბჭოთა კავშირის პოლიტიკის დღიურ წესრიგში დაისვა.

დავა

«სამშობლო»-ს ბანაკი განაგრძობს ჩვენთან დავას. მათი ორგანოს უკანასკნელი ნომერი (5-6) თავიდან ბოლომდე ჩვენზე მოიცალა, ჩვენ გვებრძვის, სხვა საბრძოლველი და სამწუხარო მათ აღარაფერი დარჩენიათ. ის რაც დღეს მთელ კაცობრიობას აღელვებს, რაზედაც ყველა სწერს, მოსკოვის მთავრობის უსაშინელესი ბოროტებანი, ჩვენი ქვეყნის ხელახალი დარბევა, გაშმაგებული ტერორი და ხალხის აწიოკება—არც ერთი ეს საგანი არ იპყრობს გამდგართა ყურადღებას; მათთვის არსებობს არა ბოლშევიკური ძალმომრეობა, არამედ მენშევიკური საშიშროება. ჩვენ ყველანი თითქო უკვე საქართველოში ვიმყოფებით და სადავიდარაბოთ მხოლოდ ხელისუფლების გაყოფა დაგვრჩენოდეს!

ეს საშვილიშვილო აღმოჩენა ნაც. დემ. პარტიაში ეკუთვნის «სამშობლოს» ორ მესვეურს—ასათიანს და ამირეჯიბს: მათ ამ მხრით სპ. კედიაც ვერ შეედრება, რომელსაც პერსპექტივა მთლათ ასე დაკარგული არასოდეს არ ქონია. და რადგანაც დღეს საქართველოს თურმე ერთათ-ერთი მტერი—მენშევიკები—ყოლია, «სამშობლოს» მორიგი ნომერიც ამ მტრის შემუსვრას ემსახურება. მაგრამ გზადაგზა თითქო უცაბედათ წამოსროლილია ისეთი აზრები, რომელნიც ნათელ ყოფენ ამდენ ხანს მათ დაფარულ აზროვნებას და საბოლოოთ გვამცნევენ რა სურთ, საითკენ მიდიან. გავყვეთ ამ მოდავეებს კარამდე და გავიგოთ მათი სულისკვეთება.

1. პატარა ისტორია.

«სამშობლოს» მეთაური გვედავება ფრონტის გარღვევის ისტორიაზე; არასოდეს ფრონტიდან არ გავსულვართ, მხოლოდ ახლა გავედითო გაიძახის ავტორი. გამოდის რომ ფრონტის გარღვევა იწყება გაბაშვილის ისტორიით, წინეთ არაფერი ამის მსგავსი არ ყოფილა. ნამდვილათ კი საქმე მდგომარეობდა შემდეგ ნაირათ: ნაც. დემ. წარმომადგენელათ ფრონტში შემოდიოდა პირველათ ვეშაპელი; შემდეგ ის საქართველოდან გამოსცვალეს და მისი კვერთი სპ. კედიას გადასცეს; ვეშაპელი გავიდა, კედია შემოვიდა. ერთ მშვენიერ დღეს კედიაც გავიდა და გამოსცა ჟურნალი «სამშობლოსათვის». ეს გასვლა იყო უკვე ფრონტის გარღვევა არა თვით გასვლით, არამედ შეთანხმების დარღვევით და კედიას მაგიერის დაუნიშნველობით. საქართველოდან არავითარი დირექტივა; ბურთი და მოედანი დარჩა ემიგრანტებს. ახლა ემიგრანტთა მეორე ჯგუფი ამირეჯიბის მეთაურობით იწყებს მოლაპარაკებას, იწერება ახალი შეთანხმება, დგება ახალი ფრონტი, კედია ირიყება, ბოლოს პარტიიდანაც იძევება. ემიგრანტები მაინც ვერ ისვენებენ, ხდება პერსონალური არევ-დარევა; ამირეჯიბი გაყავთ ცენტრიდან, შემოყავთ გაბაშვილი, შემდეგ გაყავთ გ. გვაზავა—ერთი სიტყვით ჩაღდება ემიგრანტული კინკლაობა «უფლებისათვის». დარჩენილმა გაბაშვილმა თავის მხრივ მოითხოვა ყველაზე დიდი უფლება და... გავიდა. აი ნამდვილი, ცნობილი, არა ერთხელ დაბეჭდილი და გამოქვეყნებული ისტორია. ახლა ყური დაუგდეთ «სამშობლოს» «ისტორიკოსებს»:

საერთო ფრონტისადმი უარყოფითი დამოკიდებულება «საქართველოში გაბატონდა ჩვენს პარტიულ წრეებში გაცილებით ადრე, ვიდრე ჟურნალ «სამშობლოსათვის» გამოვიდოდა. ხოლო ემიგრაციაში 1924 წ. შემოდგომაზედ და 1925 წ. გაზაფხულზედ-წაკითხულ იქნა ჩვენს ორგანიზაციაში ვრცელი მოხსენება ამ საგანზე და ამ მოხსენებათა ასეთი დასკვნები ერთსულოვანად იყო მიღებული. ასე რომ ახლანდელი საერთო ფრონტის უარყოფა და მიუღებლობა არ ყოფილა დროშა სპ. კედიასი, ამირეჯიბ-გაბაშვილის თუ რომელიმე სხვა ერთი პიროვნების, არამედ ეს იყო მთელი პარტიის აზრი, როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში» (გვ. 3).

ორში ერთი: ან ეს ამბავი მართლა ასე იყო და მაშასადამე საერთო ფრონტს ნაც. დემ. პარტია მუდამ ატყუებდა ან და ეს სახელდახელოთ გამოგონილი ჭორია, გაბაშვილ-ამირეჯიბის დანაშაულთა შესამსუბუქებლათ. საქართველოში ნაც. დემ. ფართე წრეები უარყოფდენ საერთო ფრონტს 1924 წ. შემოდგომამდეო. თუ ეს მართალია, რაზე იყო დამყარებული დამკომი და მის მიერ მოწყობილი აგვისტოს აჯანყება? გამოდის რომ ნაც. დემ. პარტია ფარისევლობდა, გულში წინააღმდეგი იყო საერთო ფრონტის, ხოლო საჩვენებლათ კი ამ ფრონტში მონაწილეობას იღებდა. ეს გაუგონარი ორმაგი პოლიტიკა ისეთ ისტორიულ ტრაღიკულ მომენტში, როცა ქართველი ხალხის სვებედი სასწორზე ეკიდა არის სასტიკი განაჩენი ნაც. დემ. პარტიის წინააღმდეგ წამოყენებული.

ჩვენ ვეკითხებით მთელ მათ ბანაკს, განურჩევლათ ჯგუფებისა, გვითხრან რა არის სიმართლე «სამშობლოს» დებულებაში, გულწრფელათ ჰოდიოდით დამკომში თუ მას ატყუებდით და განზე საიდუმლო პოლიტიკას აწარმოებდით?

შემდეგ, თუ 24 წ. შემოდგომაზე და 1925 წ. ზაფხულში საზღვარ გარეთელი ნაც. დემ. ემიგრაცია ეწინააღმდეგებოდა საერთო ფრონტს, რატომ შემოდიოდენ ნაც. ცენტრში; აქაც გვატყუებდენ? აქაც ცალ ხელს გვიწვდიდენ, ხოლო მეორე ხელით დასაკრავ იარაღს გვიმზადებდენ? თუ კი ჩვენთან არ ხერხდებოდა ასეთი ერთობისა და პატიოსნური კავშირის დამყარება», ვინ გატანდათ ძალას როცა ამ კავშირს ეძებდით და შეთანხმებაზე ხელს აწერდით? გამოდის რომ ნაც. დემ. პარტიის დამოკიდებულება სხვა პარტიებთან ყოფილა აგებული პირმოთნეობაზე, წინდაწინ განზრახულ ღალატზე, თვალის ახვევაზე და მოტყუებაზე, ვეკითხებით იმავე ბანაკს: ასათიან-ამირეჯიბი სწორათ ახასიათებენ თავის პარტიას მთლიანათ, თუ ისინი თავის თავს ახასიათებენ და ეს პარტიის თვისებათ გამოაქვთ?

2. პოლიტიკური ხაზი.

ბ.ბ. ასათიანი და ამირეჯიბი ორ დიდ წერილში ებრძვიან ჩვენს პარტიულ მემორანდუმს. რასაკვირველია იმათგან, რომელთაც ასე საჯაროთ თავისი პარტია გაწკეპლეს, ვერ მოვთხოვთ ჩვენი დოკუმენტის დაფასებას და მისი ნამდვილი სარჩულის გაგებას. ყველა გულწრფელი მკითხველი და თავის ქვეყნის ნამდვილი პატრიოტი ამ დოკუმენტში დაინახავს ერთ მთავარ ხაზს—მოუპოვოს საქართველოს საკითხს რაც შეიძლება მეტი მომხრე ინტერნაციონალში. ეს ძირითადი მიზანი ჩვენ კრიტიკოსებს გამოპარვიათ და ჩაფრენიან წვრიმანებს. ბ. ასათიანს დაუსკვნია, რომ თითქოს ნაც. მთავრობა ბიუროს ხელქვეითი ორგანოა და აუტეხია განგაში. ეს თავისი ფანტაზია გამოუყვანია მემორანდუმის ერთი ადგილიდან, სადაც სწერია: «ნაც. მთავრობა დგას სოც.-დემ. პარტიის მიერ გამომუშავებულ პოლიტიკურ ხაზზე». მას ვერ გაურჩევია ერთი მეორისაგან ორი ცნება: პოლიტიკური მიზნების ერთიგვეობა და ორგანიზაციული დაქვემდებარება. მას გონებია მთავრობის პოლიტიკური ხაზი ერთია, ხოლო პარტიის კი მეორე უნდა იყოსო! სად ნახა მან ასეთი მთავრობა, რომლის პოლიტიკა მისი ქეიფია? წინეთ, თვითმპყრობელობაში და დესპოტიაში, ასეთი მართველები არსებობდენ, უეჭველია, მაგრამ ისინი დიდი ხანია ისტორიას ჩაბარდენ და დღეს მთავრობა პარტიებისაგან გარიყულნი აღარ არიან. მაშასადამე სადაო შეიძლება იყოს არა ეს პოლიტიკური ანბანი, არამედ თვით პოლიტიკური ხაზი, რამდენათ ის მისაღებია. საქართველოს სოც. დემ. პარტიამ თავის კონფერენციაზე ეს ხაზი გამოიმუშავა; მან საქართველოს განთავისუფლების საკითხი შეაკავშირა საბჭოთა რესპუბლიკის საშინაო და საგარეო კრიზისთან. ამით მან უარყო ქართველი ხალხის სეპარატიულათ გამოსვლა, ადგილობრივი აჯანყება და საზოგადოთ ყოველნაირი ავანტიურისტული სულისკვეთება. ეს პოლიტიკა არ არის მარტო სოციალდემოკრატიულ პარტიის, ის საყოველთაო, ჩვენი საზოგადო პოლიტიკაა. და როცა ბ. ასათიანი ამას გვიწუნებს, ცხადია მას ქონებია რაღაც მეორე პოლიტიკა, რომელი?

რასაკვირველია არსებობს მეორე პოლიტიკაც, პოლიტიკა ქარუმიძეების, პოლიტიკა ყალბი ფულების, აჯანყების, მოსკოვის მთავრობის ჩამოგდება საქართველოს გზით, ერთი სიტყვით დაშნაკური ავანტიურები. ეს გზა ცხადათ გამომზეურდა ქარუმიძის პროცესზე, სადაც გერმანელი ფაშისტები ურცხვათ ლაპარაკობდენ, რომ მათ საქართველო აინტერესებდათ იმდენათ, რამდენათ ამ ქვეყნიდან შეიძლებოდა მოსკოვის ხელისუფლებასან ბრძოლაო. აი ამ პოლიტიკას არ იზიარებს ქართველი ხალხი და ქართული მთავრობა. და თუ «სამშობლოს» მოციქულნი ქარუმიძეების ბადეში გაიხლართენ, თქვან ეს პირდაპირ, ნუ მიმართავენ აქაც თავის ზნე-ჩვეულებას—იფიქრონ ერთი და აკეთონ მეორე. ქარუმიძემ ბევრს აურია დავთარი, ბევრს ის გმირათ მოეჩვენა, მაშინ როდესაც ქართველ ხალხს უმზადებდა საშინელ კატასტროფას, რომ მას მართლა თავისი პლანი გასვლოდა. აი ამიტომ საერთო ფრონტი ამ ვაჟბატონს ასე გამუდმებით ემიჯნებოდა და მასან ყოველივე კავშირს უარყოფდა.

ვინც საერთო ფრონტის ბუდიდან ამოვარდა, ის უეჭველათ ავანტიურის ბუდეში უნდა ჩავარდეს, სხვა გასაქანი მას არ აქვს.

3. პილსუდსკი და დმოვსკი.

ამდენხანს ჩვენ არ ვიცოდით რა სურთ, რა მიზანი ასულდგმულებს ასათიანის ბანაკს. ახლა მადლობა ღმერთს, გავიგეთ, გაგვაგებია თვით ასათიანმა. მისი აზრი ყოფილა შექმნა «ნაციონალური კომიტეტის» რომელიც ხელში აიღებს განმათავისუფლებელი ბრძოლის ხელმძღვანელობას. უცხოეთი ამ კომიტეტს იცნობს და ამით ქართული ნაც. მთავრობა გაირიყება. «მრავალი მაგალითებია, სწერს ის, როდესაც გარეშე სახელმწიფოებს სწორეთ ასეთ ძალებთან დაუჭერიათ საქმე და არა მთავრობებთან. ჩვენს დროში მოგვცა მაგალითი პოლონეთმა. 1918 წ. ნოემბერში პილსუდსკიმ შექმნა ვარშავაში დამოუკიდებელი პოლონეთის მთავრობა, მთელი ერის მიერ ცნობილი. საფრანგეთმა არ იცნო ის». იცნო დმოვსკის კომიტეტი პარიჟშიო (გვ. 8).

აი სად მოუნახავს მისაბაძი მაგალითი ჩვენ ქართველ დმოვსკის, ბ. ასათიანს. ვითომდა რატომ არა, თუ კი პილსუდსკი გადასცვალა საფრანგეთმა დმოვსკზე, რატომ ჟორდანიას არ გადასცვლის ასათიანზეო. აი გამდგართა ნათელი პროგრამა. მაგრამ ამ ვაჟბატონთ ავიწყდებათ ერთი რამ: ჩვენი მთავრობა უკვე ცნობილია, მაშასადამე საჭიროა, ამ ცნობის უკან წაღება. ბ. ასათიანის კომიტეტი უცნობია, საჭიროა მისი ცნობის მოპოვება. მაგრამ ავტორი აქ თავს ინუგეშებს იმით რომ თუ კი პილსუდსკის მთავრობა თვით პოლონეთში იყო და მაინც ის არ იცნესო, ჟორდანიას მთავრობა ხომ აღარ არის საქართველოში და მაშასადამე. მისი უკუგდება ხომ მეტათ გაადვილებულიაო. ვთქვათ რომ ეს ასე არის, მაგრამ ბ. ასათიანი რით გავს დმოვსკის, რომ მან მიიღოს საგარეო ლოცვა-კურთხევა? დმოვსკი ეხმარებოდა საფრანგეთის კოალიციას დიდ ომში, აწყობდა პოლონელთა ლეგიონებს, ითვლებოდა და დღესაც ითვლება, რუსოფილათ და დიდი რუსეთის მოტრფიალეთ, წინააღმდეგ პილსუდსკისა, ხოლო დიდი რუსეთი საფრანგეთის მაშინდელ პოლიტიკაში შედიოდა, ერთი სიტყვით ეს პიროვნება შესამჩნევ დახმარებას უწევდა გაჭირების დროს მოკავშირეებს; ხოლო ასათიანი კი? მარტო პარიჟის ბულვარის ტკეპნა ვერაფერი საბუთია დიდი პოლიტიკური მადის დასაკმაყოფილებლათ.

ამნაირათ, ბ. ასათიანის გულახდილი აღსარება სამი მუხლიდან შედგება: გულში უარის ყოფა საერთო ფრონტის, ხოლო შესახედავათ მასში მონაწილეობის მიღება, ავანტიურისტური პოლიტიკური ხაზი, ნაც. მთავრობის დაცემა და მის ალაგას კომიტეტის წამოსკუპება.

მეტათ ნათელია; მათი ფიზიანომია გამორკვეულია.

4. ორ ლობეში.

ბ. ამირეჯიბმა ალბათ მისი ამხანაგის აღსარება საკმაოთ ვერ დაინახა და მან თავისი მიაყოლა. ისიც შეუდგა მემორანდუმის განხილვას, შეტოპა დიდ პოლიტიკაში და მოექცა ორ-ლობეში. სწორეთ შესაბრალისია ამდენი ჭაპანწყვეტის დახარჯვა ამ ორლობიდან გამოსასვლელათ და ესეც უშედეგოთ. პოლიტიკა ხურმა ხომ არ არის, რომ ყველას შეეძლოს მისი არხეინათ ყლაპვა. ხოლო მუდამ ანბანიდან დაწყება სწორეთ მოსაწყენია. ჩვენ კრიტიკოს ჩვენს მემორანდუმში ერთი ადგილი შეუმჩნევია, იქ ერთი ფრაზა ამოუკითხავს: «საჭიროა ნაციონალური რესპუბლიკები თავის მოკავშირეს ხედავდეს რუსის ხალხში»-ო და აქედან დაუსკვნია მენშევიკების რუსული ორიენტაცია, საქართველოს დამოუკიდებლობაზე ხელის აღება—ერთი სიტყვით ყველა მომაკვდინებელი ცოდვა. საიდან სადაო, ბ. შალვა. ფანტაზია პოლიტიკას არ უყვარს; რატომ მაინდამაინც ჩვენ გვაწყენს რუსების მომხრეობა, როცა ყველა ლიმიტროფები ეძებენ სწორეთ რუსებში თავის მომხრეთ? დიდი პოლონეთი, ოფიციალური და არა არა ოფიციალური წარმომადგენელნი კმაყოფილებით აცხადებდენ და სწერდენ აგერ ახლა, რომ პოლონეთისათვის ბოლშევიკური ხელისუფლება უფრო მისაღებია, ვინემ რუს ემიგრანტებისო, ე. ი. ისინი რუსებს შორის ეძებენ მოკავშირეთ და პოულობენ არსებულ ხელისუფლების სახით. ჩვენთვის კი არსებული ხელისუფლება მიუღებელია და ვეძებთ სხვა წრეში, რუსის სოციალისტებში, ასეთსავე დასაყრდნობ წერტილს, თუ კი ისინი ასეთათ გამოგვადგებიან.

ასეთი მოკავშირეს ძებნა რატომ უნდა იყოს საძრახისი ჩვენი პატარა ერისათვის, ალახმა უწყის. ბ. ამირეჯიბს ალბათ მზათ ყავს ვინმე სხვა მოკავშირე, რომელიც მოვა და ჩვენ გაგვანთავისუფლებს. ალბათ მასაც ქარუმიძის «ღვაწლი» არ ასვენებს და ჰოფმანების ფანტაზიას სერიოზულათ უყურებს. ჩვენ კი გვგონია განმათავისუფლებელი ძალები საკმარისათ მოიპოვება საბჭოთა კავშირში, რომლის მცხოვრებთა ნახევარი არა-რუსებია. ამათი დარაზმვა უკვე დიდი ძალაა, ხოლო თუ კიდევ თვით რუსის საზოგადოების მოწინავე ელემენტებიც ამ რაზმს მიემხრობა დემოკრატიის დროშით ეს ძალა ხომ კიდევ უფრო გაიზრდება. აი სად არის რეალური შესაძლებლობა ჩვენი განთავისუფლების, ხოლო ქარუმიძე-ასათიანე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის «ხაზს» პირდაპირ მივყევართ დაშნაკისაკენ—ქართველი ხალხის დარბევისაკენ. ბ. ამირეჯიბს შეუძლია გვითხრას: რუსები როგორ მოგემხრობიანო! შესაძლებელია არა, ამის თავდები ჩვენ არ ვართ; ვიცით მხოლოდ ის, რომ რუსის სოციალისტები ორივე ფრაქციისა საქართველოს თავისუფლებას ემხრობიან. ესეც დიდი მიღწევაა. ასეთივე მიღწევა რომ ქონდეს ბ. ამირეჯიბის ჯგუფს, მათაც რომ შესძლებოდათ მათი კლასიური ამხანაგების მომხრობა რუსებში—ჩვენთვის ეს დიდათ მოსაწონი და მისაღები იქნებოდა. მაგრამ მისი ჯგუფის მეცადინეობით ჯერ არც ერთი ბურჟუაზიული წრე საქართველოს სასარგებლოთ არ ალაპარაკებულა. ხოლო როცა სოციალ-დემოკრატია ალაპარაკებს ჩვენი საქმისათვის სოციალისტურ და არა-სოციალისტურ საზოგადოებას, რუს და ევროპიელს, ინტერნაციონალს თუ სხვა შეჯგუფებათ, ბ. ასათიან-ამირეჯიბი ამ დროს მუშაობენ ჩვენს წინააღმდეგ, ჩვენი სახელის და საქმის დასაცემათ. ბ. ასათიანისაგან არ გვიკვირს, ის რჩება იმათ რაც იყო. ბ. ამირეჯიბი კი დღეს ებრძვის იმას რასაც გუშინ გუნდრუკს უკმევდა, გუნდრუკს უკმევს იმას, რასაც გუშინ ებრძოდა. ის გაიხლართა ორლობეში და ასათიანს აეკიდა; ის კარგს ალაგას გაიყვანა! სწორეთ იმ ფონისაკენ, რომელიც ყველაზე უფრო ახრჩობს.

5. წვრიმალები.

«სამშობლო»-ს მეთაური უსაყვედურებს მთავრობას—საქართველოდან «ოქრო-ვერცხლით დატვირთული გამოგისტუმრეთო» და ქონება დალუპეთო. რა იყო დატვირთული ამ განძით, ქისა, სკივრი, თუ გემი—არა სჩანს. ამ ამბის ჩვენ დიდი არაფერი ვიცით, ისე კი მეტათ გვაინტერესებს ვიცოდეთ. მადლობა ღმერთს ამ საქმის სპეცი გვყავს და იმედი გვაქვს ის მოგვაწვდის უტყუარ ცნობას. ეს სპეცია თვით ბ. ასათიანი. ბოლშევიკების შემოსევისთანავე მან მიიღო დავალება გამოიკვლიოს რა განძი წაიღო მთავრობამ საქართველოდან და მოხსენება რევკომს წარუდგინოს! ბ. ასათიანმა ამ მიზნით შემოიარა საქართველო, შეკრიბა შესაფერი ცნობები, ალბათ საკმარისათ გაამართლა ახალი ბატონების პოლიტიკური ნდობა. და აი, ჩვენ ვეკითხებით მას, გვამცნოს ჩვენც მისი მოხსეხების შინაარსი, თუ ეს ბოლშევიკების საიდუმლოებას არ შეადგენს და მას არ აუკრძალეს გამხელა. როცა ის გვეტყვის რა იყო «დატვირთული ოქრო-ვერცხლით» და რამდენით, მაშინ შეგვეძლება შევადაროთ ოფიციალურ დავთრებთან და ვნახავთ რამდენათ პირნათლათ შეასრულა ბ. ასათიანმა ბოლშევიკების დავალება. რაკი მან გულახდილი აღსარება დაიწყო, იმედია არც «ოქრო-ვერცხლის» ამბავს შეინახავს საიდუმლოთ.

ბ. ასათიანი ჩვენ ყველაფერს გვიწუნებს, როგორც ხედავთ, ბოლოს გვიწუნებს ჩვენი გაზეთის გამოცემასაც. ის თამამათ სწერს: «არსად ყოფილა მეორე მაგალითი რომ რომელიმე პოლიტიკურ პარტიას ასეთი ანონიმი გამოეცეს და მისთვის პარტიული ორგანო დაერქვას». არსად ყოფილა? სად არსად, პარიჟის ბულვარებზე? აქ მართლაც არ ყოფილა, მაგრამ გაიხედეთ სხვა მხრითაც, ინგლისში, გერმანიაში და სხვაგან, თუ ყოველგან გაზეთები «ანონიმი» არ არიან, ხელმოუწერელი წერილებით. ეს გამოცემანი, საზოგადოთ მთელი ეს პრესა არავითარ «ანონიმს» არ წარმოადგენს. ვინაიდან თავში აწერია ვისი, რომელი პარტიის თუ ჯგუფის ორგანოა, სწორეთ ისე როგორც «ბრძოლის ხმა»-ზე არის ეს აღნიშნული. მკითხველს საქმე აქვს მაშასადამე, არა პიროვნებებთან, ამ გამვლელ-გამოვლელ ელემენტებთან, არამედ ორგანიზაციასან, პოლიტიკურ ძალასან, რაც უცვლელი, უკვდავი და მუდმივია. პრესის ამგვარ საფუძველზე დაყენება და არა მისი გადახურდავება პიროვნებებზე—ყველა პოლიტიკური პარტიისათვის მისაბაძი მაგალითია. ახლა ბ. ასათიანს სურს ჩვენი პრესაც მის «სამშობლო»-მდის ჩამოაქვეითოს, რომლის ზურგს უკან არავითარი ორგანიზაცია, არავითარი პარტია არ დგას და სადაც ორი პიროვნება სჭრიან და კერვენ როგორც მოეპრიანებათ. ეს ახირებული გამოცემა ასეთი რეკომენდაციით გამოდის: «ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების ყოველთვიური ორგანო». «მიმართულების» და არა პარტიის, ორგანიზაციის, კომიტეტის, რაიმე შეჯგუფების. და რადგანაც ეს «მიმართულება» სხვა და სხვა ნაც. დემოკრატს სხვადასხვანაირა ესმის, ცხადია «სამშობლო» ორიოდე პიროვნების სალაყბო მოედანი ყოფილა, საიდანაც გამორიცხულია ორგანიზაციული დაწყობილება. ნურას უკაცრავათ, ასეთ არარაობამდე ჩვენი პარტიული ორგანო არ ჩამოქვეითდება.

◆

ბოლშევიკური ყაზარმა სოფლათ

ბოლშევიკების ყაზარმა თანდათან ყალიბდება, გლეხთა მოჯამაგირეებათ გადარიცხვა სახელმწიფო უწყებაში გრძელდება. ჩვენ კიდევ არ ვიცოდით რა სახეს მიიღებდა ეს სასაცილო კოლექტივიზაცია, მაგრამ მოსკოვის ქურუმებმა უკვე გახსნეს ფრჩხილები და გამოაქვეყნეს ინსტრუქცია იმაზე თუ როგორ უნდა მოეწყოს გლეხთა შრომა. მთელი საქმე, როგორც მოსალოდნელი იყო, ხელში უვარდება საგანგებო მოხელეებს, რომელნიც ანაწილებენ მუშებს, სამუშაო მიწებს, ნამუშევარის აღრიცხვას, ნაშრომის განაწილებას—ერთი სიტყვით მთელი განმკარგულებელი და აღმასრულებელი სამეურნეო ძალას. აი ეს გასაშტერებელი ინსტრუქცია გლეხების დასაბამათ გამოგონილი:

კითხვა:

«ჩვენ გვინდა გავიგოთ: როგორ განაწილდება შრომა კოლექტივებში.

პასუხი:

«კოლმეურნეობაში შესვლის მთავარი პირობა ასეთია: კოლექტივის ყველა შრომის უნარის მქონე წევრი აუცილებლად პირადათ უნდა მუშაობდეს კოლექტივის მეურნეობაში. მუშა-ხელს წინასწარ ანაწილებს კოლექტივის მმართველი ორგანოები. განაწილება ხდება იმის მიხედვით, თუ ვის რა სამუშაოს შესრულება შეუძლია და ვინ რა ხელობა იცის. ამრიგად, კოლექტივის წევრთა ერთი ნაწილი მუშაობს ვენახებში, მეორე ნაწილი—მინდვრად, მესამე უვლის საქონელს, მეოთხე უვლის ფუტკარს და სხვ. კოლმეურნეობის თვითეულ დარგს (მაგალითად—მევენახობას, მემინდვრეობას) ყავს თავისი ხელმძღვანელი. ამას გარდა ცალკე დარგებშიაც იქნება ჯგუფები, რომელთაც აგრეთვე თავისი ხელმძღვანელები ყავთ.

«დარგის ხელმძღვანელი ყოველდღიურად აძლევს თავის დარგის ჯგუფებს მუშაობის განრიგებას («ნარიადს»), რომელშიაც აღნიშნულია, თუ კოლექტივის რომელმა წევრმა სად უნდა იმუშავოს და რა უნდა გააკეთოს. ამ განრიგების მიხედვით სწარმოებს შემდეგ კოლექტივის წევრების მიერ შესრულებული მუშაობის აღრიცხვა (ტაბელის შედგენა).

«ნამუშევარი უნდა განაწილდეს თვითეული წევრის მიერ დახარჯული შრომის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით. გამომუშავებული უნდა იქნას დამუშავების ნორმები თვითეულ სამუშაოსათვის და თვითეული სამუაო ნორმის ღირებულება (მაგალითად, დღეში ერთმა მუშამ უნდა გასხლას ორასი ძირი ვაზი, ხოლო ორასი ძირი ვაზის გასხვლა ღირს 3 მანეთი). საბოლოვო ანგარიში გასწორდება წლის დამლევს. წლის განმავლობაში კოლექტივის წევრს შეუძლია ავანსის სახით მიიღოს ნატურით ან ფულად დახარჯული შრომის ღირებულების არა უმეტეს 50 პროცენტისა.

«კოლექტივში აუცილებელია სანარდო მუშაობა და ცალკე პირებისა თუ ჯგუფების დაჯილდოება ბეჯითი მუშაობისათვის. არავითარ შემთხვევაში არ არის დასაშვები დაქირავებული შრომის გამოყენება.

«კოლექტივში ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული სოციალისტური შეჯიბრების მეთოდი.

კითხვა:

«თავისი ქონებიდან რა უნდა შეიტანოს გლეხმა სასოფლო-სამეურნეო არტელში.

პასუხი:

«სას.-სამ. არტელის წევრები აუცილებლათ აერთიანებენ მიწებს, ვენახებს, სას.-სამ. იარაღ-მანქანებს, მუშა-საქონელს, მეწველ საქონელს და ცხვარს. რაც შეეხება სახლს, სამოსახლო ადგილს, პატარა ბოსტანს, სავოჯახო ნივთებს, ქათმებს, იხვებს, რომელთაც მხოლოდ შინაური მოხმარების მნიშვნელობა აქვთ, ეს ქონება არ ერთიანდება და რჩება არტელის წევრის სარგებლობაში. არ ერთიანდება, არც უკვე მოწეული მოსავალი: პური, ღვინო და სხვა». («კომუნისტი» № 40)

ამ დოკუმენტიდან ნათელია გლეხობის სავსებით მოსპობა და მისი სახელმწიფოზე დაყმობა, როგორც უმიწაწყლო მუშის. მას აღარ აქვს არც ერთი ის ელემენტი, რომელიც თანამედროვე გლეხს ახასიათებს: საკუთარი მიწა, საკუთარი სამუშაო ძალლონის თავის სურვილზე ამუშავება, ნაშრომის თავის ნებით გამოყენება. ხდება ექსპროპრიაცია გლეხის საკუთრების, მისი შრომის და ნამუშიერის, რომლის ერთი ნაწილი მოხელეთა გამოთვლით მას დარჩება, როგორც შრომის ჯილდო. ქარხნის მუშას ეძლევა დღის ქირა, გადაწყვეტილი წინდაწინ. გლეხს კი არავითარი ქირა, არც რაიმე წინ გადაწყვეტილი. მხოლოდ ნამუშიერის ნაწილი «ბრიგადირთა» შეფასებით, ე. ი. იმყოფება მოხელეთა სრულ განუკითხავ თვითნებობაში.

◆

წკიპურტი

პოლიციურ კოლექტივიზაციას ყავს რასაკვირველია პოლიციური პუბლიცისტები, პოეტები და მათი ამყოლ-დამყოლნი, «აღფრთოვანების» საგანგებოთ შექმნილნი. მართალია პოეზია მეტათ მოიკოჭლებს, ჩეკის წყობილება პოეტურ აღმაფრენას ვერ ურიგდება. ამიტომ ჯაგლაგი «პოვეტებითაც» იოლათ მიდიან. ამათ შორის ერთობ თავი ისახელა ნ. ზომლეთელმა; მართალია ამ ვაჟბატონს ნამდვილი პოეზია არასოდეს არ აწუხებდა, მაგრამ ზოგი სალი აზრის რითმით გამოხატვა ერთხელ ეხერხებოდა. შემდეგ შეტოპა ბოლშევიკობაში, იჩოჩა, იჩოჩა უკან-უკან და ახლა ბრიგადირის ქებათა-ქებამდე ჩამოჩოჩებულა, იმ ბრიგადირის, რომელიც გლეხების «ნარიადს» მეთაურობს და ჩეკის ბრძანებას ასრულებიებს («კომ.» № 40). ეს საარაკო წყობილება ბ. ზომლეთელს ახლა «ლხინათ უჩანს»; ეს დასაჯერებელია, ეს უეჭველიცაა; ამ ვაჟბატონებისათვის ხალხის გაჭირება ლხინის წყაროა, წყარო «უანგარიშო, ულევი». საბრიგადირო მელექსეობა, ცხადია, დღეს გაცილებით მეტათ ფასობს ვინემ რუსთველობა. თვით ბრიგადირობაც მეტათ სარფიანი ხელობაა, შორდები ქალაქის ქარხანას და მტვერში მუშაობას და არხეინათ დადიხარ სოფლათ, წმინდა ჰაერზე, კეტით ხელში სოფლელის «მოსაჭკვიანებლათ». ეს ზომლეთელის მოჩმახული, უმსგავსო და შორი-შორი—ბოლშევიკური პოეზიის ნამდვილი გამოხატულებაა, არც ნიჭი, არც აზრი, არც გრძნობა—არაფერი მაღალი და აღმამფრენი. ჭეშმარიტათ პოლიციური კოლექტივიზაცია და მილიტარიზაცია მხოლოდ «პოვეტებს» თუ აალაპარაკებს. ფ. მახარაძე სხვა პოეზიას მაინც ვერ მიხვდება და გროშსაც არ გაიღებს. მას სწორეთ მისი შესაფერი კარის მელექსეები ყავს.

⁂

თუმცა პოეტები საერთო აღფრთოვანებას აგვიწერენ, მაგრამ მადლობა ღმერთს, გამოჩნდა მისდაუნებურათ მართლის მთქმელი და საიდუმლოს ხეპრულათ გამომქლავნებელი: ცნობილმა ჭკუის კოლოფმა მიხა ცხაკაიამ გამოსცა «ბრძანება», საიდანაც ვტყობილობთ სოფლის საბჭოების «ჩამორჩენილობას» კოლექტივიზაციიდან, მათ წინააღმდეგობას ამ საბრიგადირო მეურნეობისათვის, რისთვისაც მათ მიესაჯა უმაღლესი სასჯელი—გარეკა და საბრიგადირო საბჭოების არჩევა («კომ.» № 44). რა უჭირდა მიხას ეთქვა, საბჭოები ენერგიულათ გვეხმარებიან, მაგრამ მჯობნის მჯობნი არ დაილევა და ამიტომ ახალს ვირჩევთო, საიდუმლოებაც შეინახებოდა და საქმეც გაკეთდებოდა. მაგრამ ეს ლიდერები თვითონ ხომ არ იწუხებენ თავს ფიქრით, საამისოთ ყავთ სპეცები, რომელთა ნაწერებს ისინი თვით ითვისებენ. მიხასაც ბრძანება დაუწერეს, რასაკვირველია «კონტრრევოლიუციონერმა», ხელი მოაწერიეს და ასე ქვეყნის შარაზე გამოიყვანეს ჩეკა და ოპოზიცია, ცხაკაიას ამქარი და გლეხობის სასოფლო ორგანიზაციები. დარჩა ზომლეთელის პოეზია ბრიგადირების და მათი მეთაური მიხას ამარა. და ასე საქართველოს ცხრა წლის გასაბჭოებას ბოლშევიკები დღესასწაულობენ საბჭოების გარეკით, გლეხების «გაბრილადებით» და ზომლეთური უმსგავსოებით.

⁂

მაგრამ ამ გულმოდგინე ფინიებს საჯაყი საქმე მოუვიდათ. ამდენი იცოდვილეს, ამდენი ოფლი ღვარეს თავის ერთგულების გამოსაჩენათ, ხალხის ბრიგადებათ დასაყოფათ და უცებ დაუმსახურებლათ მიიღეს უმაღლესი წყრომა. სტალინმა ამ დღეებში გამოსცა უქაზი თავის ხელქვეითების მიმართ და გამოუცხადა—ძალით კოლექტივიზაცია როგორ შეიძლებაო! რასაკვირველია, ეს «მანიოვრი» მოსკოვის ყაენს კაი კაცობით არ მოსდის; ეს უბრალო შიშის ნაყოფია და ფიქრობს წიჯექ-უკუჯექობით გლეხთა თანაგრძნობის მონადირებას. ერთობ ნაგვიანევი ხერხია, გლეხებმა უკვე გაიცვნეს ეს ვაჟბატონი და მისი უქაზები და ჭურში არ ჩაცვივდებიან. მაგრამ მახარაძე-ზომლეთელებს რომ საქმე გაურთულდა—ცხადია; ამდენ ხანს ბრიგადირების მოტრფიალენი, ახლა იძულებული არიან მოაბრუნონ კეხი და თავისუფალი არტელები შეაქონ. ქათმებს და ბატებს ამნისტია გამოუცხადონ, კომუნისტური გრძელი ხელი ბუდეებს ჩამოაშორონ და საზოგადოთ მიიღონ ისეთი გაფითრებული სახე, თითქოს არაფერი მომხდარიყო, თითქოს დაბადებიდანვე თავისუფლების მომხრე იყვენ და ყოველივე ეს პოლიციური კოლექტივიზაცია წყეული მენშევიკების მოგონილი ცილისწამება იყოს. არა, ერთობ ძნელია ჯუღაშვილთან «პატიოსანი» სამსახური; დაუჭერია გრძელი ჯოხი და ამდენ წვერულვაშიან და ჭაღარა ხალხს ფინიასავით ათამაშებს, ხან წინ გადაახტუნებს, ხან უკან, როგორც მოეპრიანება. აზრს და ჭკვას მათ აბა ვინ მოკითხავს. როგორიც პარტია, ისეთი ლიდერი.

⁂

დიდათ სახარბიელო არც უპარტიო ლიდერობაა. უჯარო სარდლობა უეჭველათ ერთობ დიდ ძალაში უნდა იყოს ბერლინის ქართველებს შორის. შეყრილან ეს პატივცემული კრებული ლუდხანაში და გადაუწყვეტიათ—«ბრძოლის ხმა»-ს სასტიკი პროტესტი! ახია ჩვენზე, ვითომ და როგორ არ ჩაუდევით თავი კალთაში გიორგი კერესელიძეს და ტ. მარგველაშვილს და მათი მრწამსი ჩვენ მრწამსათ არ აღვიარეთ. ახლა რაღა გვეშველება, მივიღეთ პროტესტი, სასტიკი, შეუპოვარი. ან მარგველაშვილივით უნდა ვილოცოთ ქარუმიძეზე ან და მიხაკო წერეთლის წყრომა მივიღოთ. ეს კიდევ არაფერი, მიხაკო ღმობიერი კაცია, ჯვარზე არ გვაცვამს, მაგრამ ამ ჩვენ წინაპართ რას ერჩიან, გინდათ თუ არა ილია ჭავჭავაძის ჩამომავალი ხართო! კაცნო და ჯამაათნო, არ ვართ, ჩვენ მეტრიკა არ დაგვიწყებია, ჩვენი წინაპრები სულ სხვა გვარის და სხვა გზისაა, ვეუბნებით მათ, მაგრამ ამაოთ. მიიღეთ ან ჩვენი წინაპარი ან ჩვენი პროტესტიო! გაგონილა ასეთი ძალათ ცხონება; დეე, ისინი ცხონდენ მათებურათ, ხელს არ შეუშლით, მხოლოდ ჩვენც მოგვცენ ნება ჩვენებურათ წავწყდეთ. მიხაკო ძველი ნამარქსისტარია და შეიძლება ახსოვს, რომ აზრის დარღვევა პროტესტით არ შეიძლება. საზოგადოთ პოლემიკაში პროტესტის მეთოდი უძლურების ნიშანია.

⁂

ერთობ მართალია ისიც რომ მათ დავა არ უყვართ: დავა—სინათლეა, სინათლეს კი სიბნელე გაურბის. სამაგიეროთ მეტათ ეხერხებათ ჩუმათ გულზე მუშტის ცემა—გაყურებიებთ სეირსო. და მართლაც კინაღამ გვაყურებიეს თურმე «თეთრი გიორგის» მოწმობით. აი რა ახალ ამბავს გვატყობინებს ის: «ეროვნული დემოკრატების ლიდერები მთავრობის წინააღმდეგ თავიდანვე ამხედრდენ და ერთი ხელობა შეთქმულობაც კი მოაწყვეს. მოისურვეს მისი ძალით გადმოგდება და ლეგაციის monu militari დაპყრობა» (№ 24). ტყუილია? რატომ «სამშობლო» არ უარყოფს ამ ცნობას. სიჩუმე დასტურს ნიშნავს. თეთრი გიორგელები მართალია ეკინკლავებიან ნაც. დემოკრატებს, მაგრამ მაინც მათი შინა კაცნია, ერთი მეორის ავანჩავანი კარგათ იციან. ბ. ლეო კერესელიძე ასათიანს რომ არაფერს არ გამოუგონებს—ყველამ იცის. მართალია ასათიანების «რევოლიუცია» გათავდებოდა რამდენიმე დიდებულ «აჯანყებულთა» თავის შეხვევით და პატიების ძებნით, მაგრამ სამაგიეროთ ოპერეტის გმირთა შორის სამუდამოთ ჩაირიცხებოდენ. ესეც ერთნაირი მიღწევა იქნებოდა, ცარიელ ჯდომას ცარიელი სიარული სჯობიაო, ნათქვამია. თუ ბერლინელნი პროტესტით გვიმასპინძლდებიან, პარიჟელნი თურმე კეტებით გამასპინძლებას აპირებდენ. ასე იციან მათ «პოლემიკა». მართალია ტყიდან დიდი ხანია რაც გამოვიდენ, ევროპიულათაც ჩაიცვენ, მაგრამ სამწუხაროთ, «ვერ გათეთრდება ყორანი, რაც უნდა ხეხო ქვიშითა».

⁂

არა გვგონია ამ ხალხის გათეთრება თვით ლეო კერესელიძემაც შესძლოს. ეს თავის თავის ლიდერები ისე ჩამოქვეითებულან, ისე დაუკარგავთ პოლიტიკური წონა, რომ «თეთრი გიორგის» დასარიგებლათ და ჭკუის სასწავლათ დავარდნილან. აი ეს გუშინ გამოჩეკილი დარდიმარდი ყმაწვილები რა სახარებას უკითხავენ გაჭაღარავებულ პოლიტიკოსებს: 1) მთავრობის «ჩამოგდება» შეუძლებელია, «რათგან უცხო ტერიტორიაზე ძალის ხმარა დაუშვებელია?! 2) «მთავრობის ჩამოგდებით მხოლოდ წავაგებთ», 3) «ჩვენი შინაგანი უთანხმოების გარეთ გატანა ქართულ საქმეს, გარეშე პოლიტიკაში, საბოლოოთ დაამარცხებს» და სხ. ერთი სიტყვით ასათიანის ამქარს დააწყებიეს პოლიტიკური ამოსაღები, მაგრამ ამაოთ, ის ისმენს და განაგრძობს: მთავრობის «ჩამოგდებას», შინაური დავის გარეთ გატანას, ქართული საქმის დამარცხებას. და თუ ეს მათი სანაქებო მოღვაწეობა ჯერ კიდევ გამარჯვებით ვერ დაგვირგვინდა, ეს რა მათი ბრალია, შრომას და ოფლის ღვრას არ აკლებენ, საქართველოს ბორბალში გასაყრელი ჩხირები არ შემოლევიათ; ბ. ასათიანი ხელშემონახული კაცია, მას მაინც ასეთი ჩხირები არ დაელევა. სხვებმა კიდევ შეიძლება მიიღონ «თეთრი გიორგის» პოემანი საქართველოში, სადაც «ძალის ხმარა დასაშვებია» და ქართველი «დიუჩეს» ეტლს შავი პერანგებით გაყვენ. ასათიანი ჭკვიანი კაცია, ამ ხვალინდელი დედლით ვერ მოატყუებთ, მას დღევანდელი კვერცხი ურჩევნია... ამათი შემყურე, მოდით და ნუ იტყვით:

ჩვენისანა ბედნიერი, განა არის სადმე ერი?

◆

ბ. ამირეჯიბი ახალ როლში

ბ. ამირეჯიბს საქართველოშიც ვიცნობდით: ის იყო პოეტი; კარგი თუ ცუდი ამას მომავალი ისტორიული მსჯავრი გაზომავს, მხოლოთ უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი ქვეყნის დაცემის დღიდან ის თავის პოეტურ «აღმაფრენას» არ აყვა, «პოპუტჩიკობის» მიმდინარეობის გაზიარება იუკადრისა; მას აღმოაჩნდა გრძნობის ისეთი სიფაქიზე, რომ ერის გლოვა პოეტური «გატაცება» და ბევრი რამ პირადი ანაცვალა და ჩაეწერა იმ თავდადებულთა წრეში, რომელიც ასე გატაცებით იბრძოდა მშობლიური კერის მტარვალთა ურდოებისაგან გაწმენდისათვის. პოეტმა მოქალაქის ტოგა აისხა და ნ. დ. პარტიის სახელით და მისი მანდატით ს. დ. პარტიის წარმომადგენლობასან თანამშრომლობდა და მასან ერთად იღვწოდა. იმ ხანაში, იქ, საქართველოში, ბ. ამირეჯიბის წარმოდგენაში ს. დ. პარტია ისახებოდა როგორც დიდი ძალა, ეჭვ შეუტანელი რეალობა, რომლის პირველობის ცნობის და მასან თანამშრომლობის გარეშე ვერ მოხერხდება ძალთა კონცენტრაცია, ერთი მებრძოლი ეროვნული ნების გამოჭედვის საქმე. ამიტომ იყო, რომ ამ ეროვნული ნების მედროშე, დამ. კომიტეტის თავმჯდომარე ს. დ. იყო. ბ. ამირეჯიბი ამას ხედავდა და ცნობდა და ჩვენ პარტიასან ერთად იდგა საერთო მტრის—ბოლშევიზმის და რუსული წითელი იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

დღეს ვითარება შეიცვალა, ბ. ამირეჯიბი კაი ხუთი წელიწადია ემიგრაციაშია და საფიქრებელია რომ ამის გამო მას სინამდვილის გრძნობა წაუხდა,—სინამდვილე ფანტაზიით შეეცვალა და მისდა საუბედუროთ პოეტური ქნარის ხელში აღების მაგიერ პოლიტიკური შეფობა დაიჩემა და სინამდვილის გაყალბებას შეუდგა.

ეს ერთი ხანია ბ. ამირეჯიბი ერთ ჯგუფთან ერთად ნაც. დემოკრატიულ პარტიას გაშორდა და ჩვენ ეროვნულ ფრონტს მოსწყდა. ამ გამდგარი ჯგუფის აზრი და განზრახვები მის ჟურნალ «სამშობლო»-ში მჟღავნდება. ბ. ამირეჯიბი ამ ჯგუფის სათავეში მოქცეულა და თავს უდვია მძიმე ტვირთი: ამხილოს ს. დ. პარტია და მტერი და მოყვარე არწმუნოს, რომ ს. დ. პარტია იყო მარა დღეს აღარ არის და მისი აზრით ის ვერასოდეს აღსდგება. «1921 წ.—სწერს ბ. ამირეჯიბი—მოხდა არა მარტო საქართველოს დამოუკიდებლობის დამხობა, არამედ საქართველოს რესპუბლიკის მართველი პარტიის დაშლა». ის ასკვნის: «ასე დაშლილი პარტიის შეერთება, ამ ნაწილების ისევ ერთ პარტიად ქცევა აღარაფერს შეუძლიან»-ო.

ჩვენ არ გვჭირია ბ. ამირეჯიბის ეს გაბედული მტკიცება ჩვენი პარტიის დაშლის შესახებ ვარღვიოთ, რადგან, ვფიქრობთ, თვით მასაც არ სჯერა ის, რაც ასე მოურიდებლათ და უთავბოლოთ მას თავის ორგანოს ფურცლებზე მოუთავსებია. შეიძლება დროგამოშვებით მას თვით მოაგონდეს 24 წლამდის განვლილი ბრძოლის ეტაპები: გაფიცვები, დემონსტრაციები, მასიური გამოსვლები, რომლებსაც უმეტეს შემთხვევაში უშუალოთ ჩვენი პარტია ხელმძღვანელობდა. ეს მისი რწმენის და სინდისის საკითხათ დავტოვოთ, მხოლოთ საკითხავია, ვის საქმეს აკეთებს ბ. ამირეჯიბი და ვის ბაძავს, როცა ასე აღტყინებით შესდგომია სასახელო ამოცანის გადაჭრას: ს. დ. პარტია დაამციროს და მისი საქართველოს საზოგადოებრივი მიმდინარეობათა წრიდან ამოშლის საქმეს გაუძღვეს.

მოვაგონოთ მას, რომ აქ ახალი არაფერია. ბ. ამირეჯიბმა უნდა იცოდეს, რომ საქართველოში არის ძალა, რომელიც უკვე რვა წელიწადია გააფთრებით თავს ესხმის ჩვენ პარტიას და ყოველგვარ ხერხს და ზომას მიმართავს მის გასანადგურებლათ. ჩეკის პროვოკაცია, ოქროს ძალა, აპარატის ძალადობა—ყველაფერი გაზომილი და ნახმარია ს. დ. პარტიის დასაშლელათ და გასაქრობათ.

რათ ღონობს წლიდან წლამდე კომ. პარტია და საოკუპაციო ხელისუფლება ჩვენი პარტიის ალგვისათვის, რათ ამოუჩემებიათ და ნიშანში ამოუღიათ ჩვენი პარტია და რატომ განსაკუთრებით მას ურტყამენ? ეს იმიტომ, რომ ჩვენმა მტერმა კარგათ უწყის ს. დ. პარტიის ძალა და წონა იმ დავაში, რომელიც საქართველოს და მოსკოვის შორის ატეხილია. მას ესმის, რომ ჩვენი პარტიის დანგრევა ნიშნავს ქართველ დარაზმულ ძალთა დაშლას, ბრძოლაში კი დიდი მნიშვნელობა აქვს დარაზმულობას, ორგანიზაციულ თაოსნობას, მწყობრ და გაზომილ შეტევას, ტაქტიკურ ხერხებს, იმას რითაც ხასიათდება რევოლუციური ტრადიციის მქონე პარტია.

ხომ ყველა ვხედავთ როგორ თავწადებულია რუსის ას მილიონიანი ხალხი; მძულვარება და აღშფოთება მტარვალებისადმი მასშიც დიდია, მარა მას არ ყავს დაწყობილი ძალა, მოთავე ავანგარდი, პარტია, რომელსაც შეეძლოს მისთვის გზის ჩვენება, ხელმძღვანელობის გაწევა და ვფიქრობთ, სანამ რუსეთში ასეთი მებრძოლი ჯგუფი არ გაჩნდება, დიქტატურა იქ ხელშეუხებელი დარჩება. და დღეს, ბ. ამირეჯიბი აწვება იმ ძალას, უნდა დაშალოს ის მოთავე პარტია, რომელიც ჩვენი განმათავისუფლებელი რაზმის ერთი დაწყობილი და გამძლე ნაწილია.

შეკითხებია ბ. ამირეჯიბი თავის თავს, თუ ვის საქმეს აკეთებს, ვის უწვდის დახმარების ხელს, როცა ზურგში ჩვენ პარტიას ჭორის ნაშხეპებს ესვრის და რეალურ ძალას მტერს თუ მოყვარეს არარაობათ აჩვენებს! მართალია ჩვენ ვერ დაგვცა ძლიერი და სასტიკის მტრის თავდასხმამ და ცხადია ვერც უძლური ბ. ამირეჯიბის პრეტენზია შესცვლის ს. დ. პარტიის თაოსნობას, მაგრამ შიგნიდან მოტანილი იერიში მაინც სახიფათოა, ამას შეუძლია მებრძოლ ბანაკში გაუგებრობის დათესვა. უნდა ეს ბ. ამირეჯიბს? ყოველ შემთხვევაში მან გაიხსენოს, რომ საქართველოში პირველობა ჩვენი პარტიის დაშლის ცდაში და იმის არ არსებულათ გამოცხადებაში ეკუთვნის ბ. კახიანს, კომპარტიის პირველ მდივანს, რომლის მიმართ ქართველი ერის სიძულვილი საყოველთაოთ ცნობილია. ცოტა საძრახია, რომ კახიანის ამპლუას ასრულება აქ ბ. ამირეჯიბმა დაიჩემოს და მით არსებითად კომპარტიის საქმე აკეთოს. ამას მას არავინ მოუწონებს, არც აქ, არც საქართველოში!

პ. ქ.

◆

ბოროტი განზრახვა

ის, რაც დღეს ხდება საბჭოთა კავშირის მთელ სივრცეზე საერთოდ და კერძოთ საქართველოში, მეტად დამაფიქრებელი რამ არის. ყველა ჭკუათა მყოფ ადამიანისათვის კომუნისტური ხელისუფლების უკანასკნელი ექსპერიმენტი,—ინდუვიდუალური სასოფლო მეურნეობის სრული ლიკვიდაცია, კოლხოზები, კოლექტივიზაცია, სოციალისტური კომუნები და სხვა—ნიშნავს უსაშინელეს სიმშილის მოწყობას და საბჭოთა კავშირში შემავალ ერების ფიზიკურ განადგურებას.

განა შეიძლება ვიფიქროთ, რომ კომუნისტური ხელისუფლება ვერ ხედავს, თუ რა საშინელ უბედურებას, რა წარმოუდგენელ და უმაგალითო ტრაგედიას ამზადებს მათი გამოგონილი «სოციალისტური მშენებლობა»?

რა არის ეს,—უჭკუობა, უვიცობა თუ სავსებით შეგნებული და წინასწარ მოფიქრებული ბოროტი განძრახვა?

კომუნისტური ხელისუფლება ფიქრობს არა ხალხის გაბედნიერებაზე, არამედ თავისი საკუთარი სიცოცხლის გახანგრძლივებაზე, აუცილებელ დაღუპვის საათის რამდენიმეთ მაინც წინ გადადებაზე. და ისიც სწორეთ საამისო საშვალების ძებნაშია დღე და ღამე.

კომუნისტურმა ხელისუფლებამ კარგათ იცის, რომ მისთვის ყველაზე უფრო დიდ საშიშროებას წარმოადგენს ქვეყნის დაწყნარება და მისი მშვიდობიან მდგომარეობაზე გადასვლა. ეს უკანასკნელი იქნებოდა კომუნისტურ პარტიის მასების და ხალხს შორის ზავის ჩამოგდება. პარტიის ქვედა ფენები, განსაკუთრებით სოფლის კომუნისტები, ძალაუნებურათ ხალხს დაუახლოვდებოდენ, საქმიან დამოკიდებულებას აღადგენდენ, ხალხის შეხედულებას და ფსიქოლოგიას გაეცნობოდენ; ხალხსა და კომუნისტებს შორის არსებული მტრობა და შუღლი შენელდებოდა, მუდმივ დავისა და ბრძოლის ნაცვლად ეკონომიური თანამშრომლობა გაჩაღდებოდა. ასეთი მდგომარეობა კი საშვალებას მისცებდა კომუნისტური პარტიის ქვედა ფენებას უფრო ობიექტიურათ შეეხედათ თვალებში სინამდვილისათვის, ჯამი გაეკეთებიათ თავიანთ წარსულ ნასაქმ-ნამოქმედარისათვის, შეეფასებიათ მიღწეული შედეგები და დაენახათ, რომ თვითონ ისინიც,—კომუნისტურ პარტიის ეს ჯარისკაცებიც,—თითქმის ისეთივე მსხვერპლი არიან კომუნისტური ხელისუფლების მიერ დამკვიდრებულ პოლიტიკურ და ეკონომიურ მონობისა, როგორიც მთელი დანარჩენი ხალხი, რომ კომუნისტური სამოთხის ნაცვლათ იმათაც მთელ ხალხთან ერთად თავი ამოუყვიათ უუფლებობის და სიღატაკის საშინელ ჯოჯოხეთში.

ყოველივე ეს კარგათ იციან კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელმა წრეებმა, ხელისუფლების სათავეში მდგომმა კომუნისტებმა, და ამიტომაც არის რომ ყოველივე ზომებს მიმართავენ ქვეყნის დამშვიდება და დაწყნარების წინაალმდეგ. მათი ინტერესი მოითხოვს, რომ ქვეყანა გაყოფილი იყოს ორ მოწინააღმდეგე ბანაკათ და მათ შორის მუდმივი პერმანენტული ბრძოლა წარმოებდეს. კომუნისტური ხელისუფლების სასახელოთ უნდა ითქვას, რომ მან ასეთი მდგომარეობა მოხერხებულათ შექნა და ჯერ-ჯერობით ამ მგომარეობის შერჩენასაც ახერხებს. მთელი საბჭოთა კავშირი მართლაც ორ ბანაკათ არის გაყოფილი; ერთ მხარეზე დგას კბილებამდე შეიარაღებული კომუნისტური პარტია თავისი ხელისუფლებით, ჩეკით, საგანგებო რაზმით და წითელი ჯარით, მეორე მხარეზე კი მთელი ხალხი, უიარაღო და ყოველივე უფლების ნასახს მოკლებული. ამ ორ ბანაკს შორის ატეხილი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ხან უფრო მწვავეა, ხან უფრო ნელი, ხოლო სავსებით კი ერთხელაც არ შეწყვეტილა. დაუთავებელ ბრძოლის საკვების გამონახვაში კომუნისტური ხელისუფლება მეტად მარდი და მოხერხებულია. წინანდელ წლების გამოგონებებს რომ თავი დავანებოთ, უკანასკნელი წლების გამოგონებანიც საკმარისი იქნება მათ დასახასიათებლათ. გამოიგონეს პლანეტარული ინდუსტრიალიზაცია, ეს საქმე მოითხოვს მილიარდებს, რომელიც უნდა გაიღოს გაღატაკებულმა და ათასჯერ გაძარცულმა მოსახლეობამ. გამოაცხადეს საინდუსტრიალიზაციო სესხი. უკანასკნელის რეალიზაცია დაკვრითი წესით უნდა ჩაატარონ კომუნისტური პარტიის წევრებმა. ამათ კი ერთ ხელში მაუზერი უკავიათ, მეორეში—სესხის ქაღალდი. ვინ იქნება ისეთი, რომ უარი გაბედოს და სესხზე ხელი არ მოაწეროს? იმავე წუთში შავ სიაში ჩავარდება უარის მთქმელი, გამოცხადდება კულაკათ, კონტრ-რევოლიუციონერათ და შემდეგ მისი საქმე სამუდამოთ გამოწირულია.

ერთი დავალების ბოლომდე მიყვანა ვერ მოუსწრია შეიარაღებულ კომუნისტს, ამ საბრალო ავტომატს, რომ მას მეორე ახალ ლოზუნგს და ახალ დავალებას ახვევს მისი ბატონი. ინდუსტრიალიზაციის ხუთწლიანი გეგმა განხორციელებული უნდა იქნას ოთხ წელიწადში; ამ ხნის განმავლობაში საბჭოთა კავშირმა წინ უნდ გაუსწროს ევროპას და ამერიკას. ეს განზრახვა ახალ მსხვერპლს მოითხოვს კომუნისტურ სამოთხის მოქალაქიდან. ეს მსხვერპლი მას უნდა გაალებიოს პარტიის წევრმა იარაღით ხელში.

არ კმარა მარტო ინდუსტრიალიზაცია, საჭიროა პირი სოფლისაკენაც იბრუნონ; მოუწყონ მას კოლხოზები და სოციალისტური კომუნები. აქაც კომუნისტი უნდა დატრიალდეს; ვინც ნებით არ შევა კოლხოზში, იგი იარაღით უნდა შედენოს ამ კომუნისტურ სასუფეველში. ვისაც სული უდგია,—40-50 ფუთი ხორბალი ან სიმინდი მოუწევია, ხარი და ძროხა გაუზრდია,—იგი კულაკია, კომუნისტური ხელისუფლების ბრძანების სიტყვის შეუბრუნებლად ამსრულებელმა კომუნისტმა ეგ «კულაკი» თავის ცოლშვილით სახლიდან კარში უნდა გამოაგდოს, თავის სოფლიდგნ გააძევოს და მისი ქონება კოლექტივიზაციის სამსხვერპლოზე მიიტანოს. ლოზუნგს ლოზუნგი მოსდევს, ერთი დაკვრითი ამოცანას მეორე მოყვება, მეორეს მესამე და ასე დაუსრულებლათ, საბრალო კომუნისტს არც მოსაფიქრებლათ სცალია და არც სულის ამოსათქვამათ. მოფიქრება და საკუთარი აზრის ქონება მას აკრძალული აქვს. მოფიქრება-მოსაზრება პარტიის პოლიტიკური ბიუროს პერსპექტივაა, პარტიის ხელმძღვანელ წრეების მონოპოლიური უფლებაა. ვინც ამ პარტიის დიქტატორებს გააკრიტიკებს, საქმიანობას დაუწუნებს, ან უფლებებში შეზიარებას განიზრახავს, იგი ოპოზიციონერია, უკლონისტია, მას ყველა ჩინ-ორდენებს აყრიან და სამშვიდობოში მიაბრძანებენ, თუ გადაჭარბებულ ჭირვეულობას გამოიჩემს, «ხარჯშიც კი გაიყვანებენ».

ერთია პარტიის ხელმძღვანელი წრე, მეორე ყველა დანარჩენი კომუნისტები. ამ უკანსკნელთა ერთად ერთი თვალსაჩინო უფლებაა მთელი ხალხის წინაალმდეგ აწარმოვოს განუწყვეტელი ომი და შფოთი. კომუნისტურ ხელისუფლებას სწორეთ ეს ესაჭიროება, რომ თავისი სრული გაკოტრება დროებით მაინც მიჩქმალოს და თავისი არსებობის დღეები ცოტათი მაინც გაახანგრძლივოს. სწორედ ეს შეადგენს კომუნისტურ ხელისუფლების მთავარ საზრუნავს.

მაგრამ კომუნისტურმა ხელისუფლებამ კარგად იცის, რომ ასეთ პირობებში მას დიდხანს სიცოცხლე არ შეუძლია. ნათლათ ხედავს, რომ მისი არსებობის საშვალებები თანდათან იწურება და განკითხვის დღე ახლოვდება. ეს გარემოება მას უჩენს მეორე დიდ დარდს, უყენებს მეორე თავზადამცემ საკითხს.

ვინ შესცვლის კომუნისტურ სისხლიან დიქტატურას, ვინ დაეპატრონება წითელი დიქტატურის შემდეგ ხელისუფლებას—დემოკრატია თუ შავი დიქტატურა რომელიმე მუსოლინის ან ღენერალის სახით, აი ის საშინელი კითხვა, რომელიც ჭმუნვას მწუხარებაზე უმატებს და აუცილებელ სიკვდილის წინა დღეებს სრუიად უწამლავს კომუნისტურ ხელისუფლებას.

ყველასათვის აშკარაა, რომ კომუნისტურ ხელისუფლებას მთელი თავისი არსებით და უძლიერესი სიძულვილით სძულს დემოკრატია, ამ უკანასკნელის წინაალმდეგ ბრძოლას ალევს იგი მთელ თავის ენერგიას და ყველა მის საშვალებებს. კიდევ უფრო მეტად სძულს მას სოციალისტური პარტიები, დემოკრატიის ეგ უდაო ხელმძღვანელები და მეთაურები.

მწარე და ულმობელმა სინამდვილემ ყოველივე მოლოდინს გადააჭარბა სოციალისტების წინასწარმეტყველობის გამართლებაში. კომუნისტების პოლიციურმა სოციალზმმა გაანადგურა და მიწასთან გაასწორა მთელი მსოფლიოს მეექვსედი ნაწილის ყველა საწარმოვო ძალები, გაანადგურა და გაანიავა სახალხო მეურნეობის ყველა დარგები; ეკონომიურ ზრდის და კულტურულ განვითარების გზაზე შემდგარი ქვეყანა ველურობის და კაციჭამიაობის ჩიხში მიაბრუნა. ყოველივე ეს ცოტა მეტნაკლებობით იმ თავითვე იყო გათვალისწინებული და საქვეყნოთ თქმული სოციალისტების მიერ.

სწორეთ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ კრემლის ბატონები უმთავრეს თავის ყურადღებას აქცევენ სოციალისტური პარტიების წინაალმდეგ ბრძოლას. სოციალისტების სიძულვილმა ისე გაიტაცა კომუნისტური პარტია, რომ მის წინაალმდეგ შავ ფაშისტურ რეაქციასთან დაკავშირებასაც კი არ ერიდება. კომუნისტური ხელისუფლება ადვილად ახერხებს მეგობრობას მუსოლინთან და ქემალ ფაშასთან; ამავე დროს გააფთრებული ებრძვის ევროპის დემოკრატიულ დი სოციალისტურ მთავრობებს. დემოკრატია და მეცნიერული სოციალიზმი, აი ის ორი ძალა, რომელიც ძილს უფრთხობს და შიშის ზარს სცემს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ ხელისუფლებას. ეს სიძულვილი და შიში მით უფრო ძლიერდება, რაც თვითონ კომუნისტებისათვის აშკარა ხდება, რომ მათ სასიცოცხლო ძალა ელევათ და სამარცხვინო სიკვდილის დღე უახლოვდებათ. კომუნისტურ ხელისუფლებას აშინებს ის გარემოება, რომ მის ნანგრევზე შეიძლება აღმოცენდეს დემოკრატიული ხელისუფლება, ჩეკის სისხლიანი დიქტატურა შეიძლება შესცვალოს თავისუფლების მატარებელმა პოლიტიკურმა დემოკრატიამ, რომლის უდავო ხელმძღვანელნი სოციალისტები არიან. ამიტომაც წინდაწინ იღებენ თადარიგს, რომ მათ შემდეგ ხელისუფლება დემოკრატიის ხელში არ გადავიდეს. ვინც უნდა ის მოვიდეს,—ფაშიზმი, შავი ღენერლის დიქტატურა, ეშმაკი და მისი ბებია—მხოლოდ არა დენოკრატია. სწორედ აქეთკენ არის მიმართული მათი გულის ყური, მათი აზრი და საქმიანობა. ამ საქმიანობის მიზანია ნიადაგი მოუმზადონ შავი რეაქციის და ახალი დიქტატურის მოსვლას, ხოლო დემოკრატიის გამოჩენას და სამოქმედო ასპარეზზე გოსვლას კი ხელი შეუშალონ ყოველი საშვალებით. ამ ბოროტი მიზნის და განძრახვის განხორციელება მით უფრო ადვილი იქნება. რაც მეტად იქნება არეულ-დარეული და აწიოკებული ქვეყნის სამეურნეო ცხოვრება.

სწორედ ეს გვაფიქრებიებს, რომ კომუნისტური ხელისუფლების უკანასკნელი განზრახვა—სასოფლო მეურნეობის სრული კოლექტივიზაცია და კომუნიზაცია, ინდივიდუალურ მეურნეობის სრული ლიკვიდაცია, სოფლის მშრომელი ელემენტების ფიზიკური განადგურება და სხვა ამგვარი ზომეები, რაც საბჭოთა კავშირს აუცილებელ დამშევას უწყობს ხელს—არის შედეგი არა უჭკუობის და უვიცობის, არამედ იგი არის სრულიად შეგნებული და მოფიქრებული ბოროტი განძრახვა. მართალია ამას მოყვება დამშეულ მუშების და გლეხობის მილიონობით ამოწყვეტა; სამაგიეროთ ეს არის საუკეთესო საშვალება მიზანში ამოღებულ დემოკრატიის რამდენიმე ათეული წლებით გასანადგურებლათ და მოსასპობათ. სიმშილით და ამასთან დაკავშირებულ სხვა მრავალ გაჭივრებით ნახევრათ გაველურებული, კაციჭამიობამდე მისული ხალხი აშკარაა პოლიტიკური დემოკრატიის როლს ვერ შეასრულებს; მისთვის ერთ ნატეხ გამხმარ პურს გაცილებით მეტი მნიშვნელობა და შინაარსი ექნება, ვინემ თავისუფლებისა და ხელისუფლებისათვის ბრძოლას.

და თუ ამ დროს დაკრავს ჟამი კომუნისტური ხელისუფლების დაღუპვისა—სულ ერთია, იქნება ეგ დაღუპვა შედეგი რომელიმე საგარეო ავანტიურის თუ შინაური ანარქიისა—მას შეეძლება დარწმუნებული იყვეს, რომ მის მიერ შეძულებული დემოკრატია ვერ დაიკავებს განთავისუფლებულ ადგილს. ამის შეძლება და საშვალება არ ექნება არაქათ-მილეულ მუშათა კლასს, ამისთვის არ ეცლება არც გლეხობას. უორგანიზაციოთ და უხელმძღვანელოთ დარჩენილ გლეხობისათვის სწორეთ მაშინ დადგება დრო მიწების დაპატრონების, კოლხოზებისა და კომუნების ქონების დატაცების: შვილი მამას აუმხედრდება, ძმა ძმას შეუტევს, სოფელი სოფელზე გაილაშქრებს; ყველა იმის ცდაში იქნება, რაც შეიძლბა მეტი მოიტაცოს, სხვაზე მეტი მიისაკუთროს. გამეფდება სრული ანარქია და ქაოსი.

შავი რეაქციის მოციქულთაც სწორედ ეს უნდა. იმათ კარგათ იციან, რომ მხოლოდ და მხოლოდ ანარქიას შეუძლია ნიადაგი შეუქნას რომელიმე ენერგიული ღენერლის სცენაზე გამოსვლას. წითელ დიქტატურას შესცვლის შავი დიქტატურა.

რა მდგომარეობაში ჩავარდება ამ შემთხვევაში ჩვენი პატარა ქვეყანა და ჩვენი მრავალტანჯული ერი? იქნება თუ არა რაიმე იმედი, რომ ის თავს დააღწევს და დამოუკიდებელ თავისუფალ ცხოვრებას აღადგენს?

ეჭვს გარეშეა, რომ ვერც ჩვენი ქვეყანა გადაიტანს იოლათ და უმტკივნეულოთ ამ საშინელ გადამავალ ხანას; როგორც სიმშილს, ისე ექსცესებსაც აქაც ექნება ადგილი. საზოგადოთ ანარქია ცოტა მეტნაკლებობით ყველგან იჩენს თავს, როგორც შიგა რუსეთში, ისე განაპირა ქვეყნებშიაც.

რაც შეეხება სეპერატიულათ განწყობილ განაპირა ქვეყნების მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებას და რუსეთიდან გამომიჯვნას, ეს არ იქნება მაინცა და მაინც ძნელი საქმე. კომუნისტების მეცადინეობითა და წყალობით ანარქიის ალში გახვეულ რუსეთს იმ ხანათ განაპირა ქვეყნებისათვის არ ეცლება. რუსეთის სივრცეზე ანარქიის ჩაქრობა, წესრიგის დამყარება და მართვა-გამგეობის აპარატის მოწყობა საკმაოთ ძნელი და ხანგრძლივი საქმე იქნება.

მაგრამ ერთია დამოუკიდებლობის გამოცხადება, მეორე და მთავარი კი დამოუკიდებლობის შერჩენა და განმტკიცება; პირველი გაცილებით უფრო ადვილია, ვინემ მეორე, და სწორეთ ამ მეორესაკენ უნდა იქნეს მიქცეული ჩვენი ერის ყველა სასიცოცხლო ძალების მთელი ენერგია.

რა თქმა უნდა, ზემო ნათქვამი არ ნიშნავს იმას, რომ კომუნისტები ხვალ ან ზეგ განუტევებენ სულს, არავის არ შეუძლია იმის წინასწარმეტყველობა, თუ რამდენ თვეს ან წელს იბოგინებენ კიდევ ისტორისა და ცხოვრების მიერ განწირულნი, მაგრამ არც ის არის შეუძლებელი, რომ კომუნისტურმა ხელისუფლებამ სრულიად მოულოდნელათ წააკლას თავი რომელიმე ავანტიურას.

ივ. ჭავჭანიძე.

◆

მაკდონალდის მთავრობა შინ და გარეთ

დღეს არ არსებობს ორი აზრი იმის შესახებ, რომ ინგლისის მუშათა მთავრობას საგარეო ფრონტზე თვალსაჩინო მიღწევები აქვს. ინგლისის ერთი საუკეთესო და მეტათ გამოჩენილი ჟურნალისტი—გარვინი ამას წინეთ ამბობდა. რომ მაკდონალდის მთავრობას საერთაშორისო მშვიდობიანობის დამყარების და საერთაშორისო განიარაღების ხელმძღვანელობის საქმეში დღეს მეტოქე არ ყავსო. გარვინი კონსერვატიულათ მოაზროვნე პიროვნებაა, მაგრამ ეს მას ხელს არ უშლის მისი მოწინააღმდეგის საქმიანობა მიუდგომლათ და ობიექტიურათ შეაფასოს. და მართლაც, გააგის კონფერენციის დროს რეპარაციების საკითხში ენერგიული ჩარევით და მისი შესაფერი მოგვარებით, ინგლისის მთავრობამ უდიდესი სამსახური გაუწია საერთაშორისო მშვიდობიანობის საქმეს.

წინეთ როგორც ინგლისში, ისე სხვაგან ხშირათ უსაყვედურებდენ ჩემბერლენს, რომ მას არ ქონდა გარკვეული ხაზი საგარეო საქმეების წარმოებაში, რომ ის თითქმის ყველაფერში საფრანგეთს უთმობდა, მის კარნახს მიყვებოდა. ასეთი აზრი კიდევ უფრო განმტკიცდა იმ შეთანხმების შემდეგ, რომელსაც ადგილი ქონდა 1928 წელს საფრანგეთს და ინგლის შორის და რომელიც სახმელეთო და საზღვაო შეიარაღების საკითხებს შეეხებოდა. საფრანგეთის და ინგლისის ამ შეთანხმებას ევროპის ზოგმა ქვეყნებმა და ამერიკამ იჭვის თვალით შეხედეს, ის ჩუმ კავშირათ დასახეს და მის გამო დიდ უკმაყოფილებას აცხადებდენ. ამერიკაში მაშინ სამხედრო ფლოტის გაძლიერების საჭიროებაზედაც კი დაიწყეს ლაპარაკი.

სნოუდენის გააგაში «მაგარ» სიტყვების და გამოსვლების მთავარი მიზანი ის იყო, რომ ინგლისს თავისი საკუთარი პოლიტიკა ქონებოდა, ყოველგვარ ცალმხრივ და კერძო კავშირებიდგან მას თავი დაეხწია და მით საერთაშორისო შეთანხმებისათვის და თანამშრომლობისათვის გზა გაეკაფა. თუ გააგის შემდეგ ხდება ერთნაირი თვალსაჩინო დაახლოვება საფრანგეთს და გერმანიის შორის ერთი მხრივ და გერმანიის და პოლონეთის შორის მეორე მხრივ, ეს უმთავრესათ, თუ მთლათ არა, ინგლისის დღევანდელ მთავრობას უნდა მიეწეროს. გერმანიის და საფრანგეთის შორის დამოკიდებულების გაუმჯობესობას დიდათ შეუწყო ხელი აგრეთვე რენანიის ევაკუაციამ და სარის რაიონის საკითხის დღის წესრიგში დასმამ, რაც ინგლისელების ინიციატივით ხდებოდა. ინგლისის დღევანდელი მთავრობის საგარეო ფრონტზე თვალსაჩინო მიღწევებათ უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ მან რატიფიკაცია მოუხდინა ვაშინგტონის კონვენციას 8 საათის სამუშაო დღის შესახებ, მისი გავლენით და ინიციატივით მოხდა საერთაშორისო არბიტრაჟის საკითხის გადაწყვეტა, მანვე მოაგვარა ეგვიპტეს დამოუკიდებლობის საკითხი და ამ ახლო მომავალში გადასაჭრელათ წამოაყენა ირაქის და ინდოეთის საკითხები.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილ საკითხებს უნდა მიემატოს საერთაშორისო მნიშვნელობის ერთი უდიდესი პრობლემა, რომელიც ორი დიდი სახელმწიფოს, ამერიკის და ინგლისის, ერთმანეთთან დამოკიდებულებას და მორიგებას შეეხება. ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში ინგლისის და ამერიკის შორის დამოკიდებულება არ იყო კარგი. 1926, 1927 და 1928 წლებში საზღვაო განიარაღების კონფერენციები ვერ აღწევდენ სასურველ შედეგებს უმთავრესათ მიტომ, რომ ინგლისი და ამერიკა ერთმანეთს ვერ უთანხმდებოდენ და მათ შორის დიდ მეტოქეობას და წინააღმდეგობას ქონდა ადგილი. ომის და ავანტიურების დიდათ მოყვარულნი ამ წინააღმდეგობაზე და მეტოქეობაზე ხშირათ დიდ იმედებს ამყარებდენ და ინგლის და ამერიკის შორის შეიარაღებულ კონფლიქტს დიდის აღფრთოვანებით [illegible] ამ უკანასკნელი წლების საბჭოთა პრესა [illegible] რილებით ამერიკის და ინგლისის შორის ომის აუცილებლობის შესახებ და თავიანთ პერსპექტივებს ბოლშევიკები ასეთ «აუცილებლობაზე» ამყარებდენ. ამ მხრივ ეხლა მდგომარეობა რადიკალურათ შეცვლილია. ლონდონის საზღვაო კონფერენციაზე დღეს სხვა სახელმწიფოთა შორის ყველაზე უფრო შეთანხმებულათ სწორეთ ინგლისი და ამერიკა გამოდიან. წინანდელ წინააღმდეგობას და მეტოქეობას მათ შორის დღეს აღარ აქვს ადგილი და ეხლა თამამათ და გადაუმეტებლათ შეიძლება ითქვას, რომ ამ საქმეში უმთავრესი და გადამჭრელი როლი მაკდონალდის მთავრობამ ითამაშა.

საფრანგეთი დღეს თავის უზრუნველყოფობისათვის საკმარისათ არ სთვლის არც ერთა ლიგის და არც კელოგ-ბრიანის პაკტს, არც ლოკარნოს ხელშეკრულებას. საზღვაო შეიარაღების შემცირების პირობათ ის დამატებითი, ხმელეთთა შუა ზღვის და ატლანტიის ოკეანეს, პაკტებს თხოულობს, მაგრამ არც ინგლისი და არც მით უფრო ამერიკა საფრანგეთისადმი რაიმე ახალ გარანტიების მიცემაზე თანახმა არ არიან. შეიძლება ლონდონის საზღვაო კონფერენციამ ვერ მიაღწიოს სასურველ შედეგებს და ის კარგათ ვერ დამთავრდეს. ყოველ შემთხვევაში, როგორც არ უნდა დამთავრდეს ის, ერთი რამ კი დღესვე ცხადია: ინგლის და ამერიკის შორის არსებული უნდობლობა, თუ ერთნაირი მტრული განწყობილების ატმოსფერა უკვე გაფანტულია და წინა წლებთან შედარებით საერთაშორისო შეთანხმებისათვის ნიადაგი გაცილებით უკეთ არის მომზადებული. და ყველაფერი ეს ამას წინეთ განაცხადა ლონდონში ერთ ბანკეტზე ამერიკის დელეგაციის თავმჯდომარემ—სტიმსონმა, უმთავრესათ მაკდონალდის საქმეა. ინგლისის მთავრობის დღევანდელი მუშაობით საგარეო ფრონტზე ბევრი მისი მოწინააღმდეგეც კმაყოფილია ეხლა. ზემოთ დასახელებულ ცნობილ ჟურნალისტ—გარვინს არა ერთხელ მიუმართავს ამ უკანასკნელ ხანებში ოპოზიციონურ პარტიებისათვის, რომ მათ მისცენ მაკდონალდის მთავრობას შესაძლებლობა აწარმოვოს თავისი ნაყოფიერი მუშაობა, თუ მეტი არა, ყოველ შემთხვევაში კიდევ ორი წლის განმავლობაში. მაგრამ საგარეო ფრონტის საკითხების გარდა, ხომ საშინაო ფრონტის საკითხებიც არსებობს.

ინგლისის მუშათა მთავრობას საგარეო ფრონტზე უთუოთ მეტი მიღწევები აქვს, ვიდრე საშინაოზე. სხვათა შორის ეს იმითაც აიხსნება, რომ მთავრობა თავის უდიდეს ყურადღებას უკანასკნელ დრომდე უფრო საგარეო საქმეებს აქცევდა და ამ სფეროში მას ოპოზიციონური პარტიებიც საერთოთ მხარს უჭერდენ.

ინგლისი დღეს დიდ ეკონომიურ კრიზიზს განიცდის და შინაურ საქმეების მოგვარება და მოწესრიგება მეტათ ძნელ საქმეს წარმოადგენს. უმუშევრობის საკითხი დღეს ინგლისში მეტათ მწვავე საკითხია და მისი შესაფერათ გადაჭრა მჭიდროთ არის დამოკიდებული იმაზე, თუ რა პირობებში მოხდება ინგლისის მრეწველობის მდგომარეობის გაუმჯობესობა და რეორგანიზაცია. ინგლისის მრეწველობის მდგომარეობა თავის მხრივ კი დაკავშირებულია სხვა ქვეყნების მრეწველობასთან და საერთოთ საერთაშორისო ბაზართან. ამიტომ ეს საკითხი არა მხოლოთ ნაციონალური, არამედ ამავე დროს ინტერნაციონალური ხასიათის საკითხიც არის და მისი შესაფერი მოსაგვარებლათ საჭირო იქნება მეტათ გაბედული, ენერგიული და სულ ახალი ზომების მიღება. მაგრამ მუშათა მთავრობის მდგომარეობა განსაკუთრებულია დღეს, ის უმცირებობის მთავრობაა და ოპოზიციონურ პარტიების სურვილის წინააღმდეგ ის ვერ მიმართავს დიდათ ახალ და გაბედულ ზომებს. ამ უკანასკნელ ხანებში ის იძულებული გახდა კიდევაც მოეხსნა და შემდეგ სესიისათვის გადაედვა ზოგი ის კანონპროექტები, რომელთა დაუყონებლივ გატარებას პირდებოდა ის ამრჩევლებს უკანასკნელ არჩევნებში. მაგრამ მუშათა მთავრობა გრძნობს, რომ ასეთი მდგომარეობის გაგრძელება დიდი ხნით შეუძლებელია. მუდამ ერთი ადგილის ტკეპნა და ხალხისადმი რაიმე თვალსაჩინო რეფორმების მოუწოდებლობა მთლათ დასცემდა მთავრობის ავტორიტეტს მასაში. თუ საგარეო ფრონტზე მთავრობის მუშაობით საერთოთ ყველა კმაყოფილია და ამ მხრივ ის მეტათ პოპულიარულიც არის, ეხლა საჭიროა, რომ ეს შეძენილი კაპიტალი არ იქნას გაფანტული შინაურ საქმეების მოუწესრიგებლობის გამო. დრო არ იცდის, მუშათა მთავრობამ არჩევანი უნდა გააკეთოს. ან და მთავრობის გადავარდნის და ოპოზიციონურ პარტიებისადმი მუდმივი დათმობა, ან და თავისი საკუთარი სახის შენარჩუნება და უფრო გაბედული ნაბიჯების გადადგმა. მთავრობის გაბედულ ნაბიჯებს მოწინააღმდეგენი, რასაკვირველია, მხარს არ დაუჭერენ და ის დაეცემა. მაგრამ სამაგიეროთ მომავალ არჩევნებში მუშათა პარტიას და მის მთავრობას ექნება საბუთი და შესაძლებლობა გასწიოს ენერგიული და მძლავრი პროპაგანდა თავის პროგრამის გარშემო.

არის ნიშნები, რომ მუშათა მთავრობა უკვე გრძნობს ახალი არჩევნების მოახლოვებას. საგარეო ფრონტზე მუშათა მთავრობის მდგომარეობა შედარებით კარგია, ეხლა ის ცდილობს შინ გაატაროს რამოდენიმე მნიშვნელოვანი კანონპროექტი, შემდეგ დაითხოვოს პარლამენტი, ახალი არჩევნები დანიშნოს და იქ მიიღოს უმრავლესობა. მაგრამ არც ოპოზიციას ძინავს. ოპოზიცია თავის მხრივ ჩქარობს და ცდილობს მთავრობას არ მისცეს შესაძლებლობა გაატაროს ისეთი რეფორმები, რომელიც მას პოპულიარულათ გახდიდა ხალხში და შემდეგ ის თვითონ აირჩევდა პარლამენტის დათხოვის მომენტს. ოპოზიციას სურს მთავრობა გადააგდოს ისეთ პირობებში და ისეთ საკითხის გამო, რომელიც მუშათა პარტიისათვის სრულებითაც არ იქნება ხელსაყრელი. ამ უკანასკნელ ხანებში ლოიდჯორჯმა კონსერვატორებთან ერთათ ორჯერ სცადა მთავრობის გადაგდება ნახშირის მაღაროების კანონპროექტის გამო, მაგრამ ორივეჯერ მისი ცდა უშედეგოთ დარჩა. ლოიდ ჯორჯის ზოგმა მეგობრებმა ან მუშათა მთავრობას მისცენ თავიანთი ხმები, ან და ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს. საერთოთ ლიბერალური პარტია გაყოფილია ორ ერთი მეორეს მოწინააღმდეგე ბანაკათ, მის საპარლამენტო ფრაქციაში არ არის არავითარი

დისციპლინა და ყოველივე წევრი ისე იქცევა, როგორც ეს მას მოესურვება.

დიდ კრიზისს განიცდის დღეს კონსერვატიული პარტიაც. ამ უკანასკნელ ხანებში ამ პარტიის ზოგი გამოჩენილი წევრები, როგორც ლორდ ბივერბრუკი და ლორდ როდერმიერი არიან, შეეცადენ დაეარსებიათ «საიმპერიო თავისუფალი ვაჭრობის» ახალი პარტია და ბოლდვინის ლიდერობას და ხელმძღვანელობას კონსერვატიულ პარტიაში სასტიკი ბრძოლა გამოუცხადეს. ბივერბრუკი და როდერმიერი უკიდურესი პროტექციონიზმის მომხრენი არიან. მათი აზრით ინგლისის საქონელი თავისუფალი უნდა იყოს ყოველგვარ გადასახადისაგან ბრიტანეთის იმპერიის (როგორც დომინიონების, ისე კოლონიების) საზღვრებში, მაგრამ უცხო ქვეყნებიდგან შემოტანილ საქონელზე კი, იქნება ის სანოვაგე, თუ სხვა რამე, აუცილებლივ უნდა იქნას დაწესებული სათანადო ბაჟი. ბივერბრუკი და როდერმიერი მრავალ კონსერვატიული გაზეთების პატრონები არიან და ამ გზით მათი გავლენა საზოგადოებრივ აზრზე დიდია. ბოლდვინი, დაშინებული მისი პარტიის მოსალოდნელი რღვევით, ეხლა აცხადებს, რომ ბივერბრუკს და მის შორის პრინციპიალური განსხვავება არ არის, მხოლოთ უნდა მოხდეს შეთანხმება პრაქტიკულ პოლიტიკის საწარმოებლათოთ. ამნაირათ ბოლდვინი დგება დღეს უკიდურეს პროტექციონიზმის გზაზე და ამ ნიადაგზე ის მომავალ არჩევნებში აუცილებლივ პოვებს, როგორც მუშების, ისე ლიბერალების, სასტიკ წინააღმდეგობას. საერთოთ ოპოზიციონური პარტიები დღეს ინგლისში დაქსაქსული არიან და მათი ასეთი მდგომარეობით სარგებლობს ეხლა და ისარგებლებს ალბათ მომავალშიდაც მართველი პარტია.

მუშათა მთავრობის მოწინააღმდეგენი ხშირათ მუშათა პარტიაში არსებულ ოპოზიციაზე ამყარებენ თავიანთ იმედებს. მაგრამ ეს ტყვილი იმედებია. დამოუკიდებელი მუშათა პარტია, რომელიც დღეს ფედერატიულათ მუშათა პარტიაში (ლაბურ პარტი) შედის და იქ მაქსტონის, ბროკვეის და კერკვუდის ხელმძღვანელობით ოპოზიციას აწარმოებს, მართლაც დიდ როლს თამაშობდა წინეთ ინგლისის მუშათა კლასის გათვითცნობიერების საქმეში. ის დაარსებულ იქნა 1893 წელს კეერ ჰარდის, ტომ მანის და გლაზიეს მიერ. 1894 წელს მათ შეუერთდა მაკდონალდი, შემდეგ სნოუდენი, კლაინსი და სხვები. დამოუკიდებელი მუშათა პარტიის გავლენა ინგლისის მუშათა კლასში წინეთ დიდი იყო და 1900 წელს ლაბურ პარტიის დაარსებაში მან უდიდესი როლი ითამაშა. დამოუკიდებლების ორგანიზაცია დღიდან თავის დაარსებისა მთელ თავის დროს და ენერგიას ტრედუნიონთა შორის სოციალიზმის პრინციპების ქადაგობას ანდომებდა და სასტიკ ბრძოლას აწარმოებდა ინგლისის მუშათა კლასის განსათავისუფლებლათ კონსერვატიზმის და ლიბერალიზმის იდეოლოგიათაგან. მაკდონალდი თავიდანვე გახდა ლიდერი დამოუკიდებლების პარტიისა, ის იყო მისი საუკეთესო თეორეტიკოსი და ორგანიზატორიც და ასეთ მუშაობას ის იქ 30 წლის განმავლობაში ეწეოდა. დამოუკიდებლების პარტია მრავალრიცხოვანი არასოდეს ყოფილა, მაგრამ მის მუშაობას მუშათა ორგანიზაციებში სოციალიზმის იდეების გავრცელების მხრივ დიდი მნიშვნელობა ქონდა. 1918 წელს ლაბურ პარტიამ სოციალისტური პროგრამა დამოუკიდებლების პარტიის და მისი ლიდერის—მაკდონალდის შთაგონებით მიიღო. მაგრამ ამავე დღიდგან უკვე იწყება დამოუკიდებლების პარტიის გათქვეფა ლაბურ პარტიაში. ამიერიდგან მუშათა პარტიაში სოციალისტურ პროპაგანდას დამოუკიდებლების გარდა სხვებიც აწარმოებენ.

1920 წლიდგან დამოუკიდებლების პარტიაში ბოლშევიზანობა იკიდებს ფეხს და ამ უკანასკნელ წლების განმავლობაში მუშათა პარტიის ეს ბოლშევიზანობა ძლიერ ძვირათ დაუჯდა. არც თვით დამოუკიდებლებს დაჯდომია ის იაფათ. თუ ამ ხუთიექვსი წლის წინეთ დამოუკიდებლების პარტიაში 30.000 წეევრი ირიცხებოდა, დღეს მას 5.000 წევრი ძლივსლა შერჩა. თვით მუშათა პარტიის წევრთა რიცხვი კი ეხლა 3.000.000-ზე მეტია. გასულ წელს დამოუკიდებლების პარტია მიატოვა სნოუდენმა, ამ ორი კვირის წინ კი თვით მაკდონალდმა, რომელიც დღეს რჩება ყველაზე უფრო პოპულიარული და ავტორიტეტის მქონე პიროვნება მთელ მუშათა პარტიაში, როგორც მისი ლიდერი. მაკდონალდის მაგალითს ეხლა ალბათ არა ერთი და ორი მიბაძავს. ეხლა, როგორც 1924 წელს, დამოუკიდებლები დიდ ოპოზიციას აწარმოებენ მაკდონალდის მთავრობის წინააღმდეგ. მაგრამ რამდენათ უფრო მკაცრია მათი ოპოზიცია მუშათა პარტიაში, თუ მუშათა მთავრობის წინააღმდეგ, იმდენათ ნაკლებია მათი გავლენა მასაში, იმდენათ მეტი და შეუჩერებელია მათი რღვევის პროცესი. ფუჭი ოცნებაა, თუ მუშათა მთავრობის მოწინააღმდეგენი მაქსტონ-კერკვუდის ოპოზიციაზე ამყარებენ თავიანთ იმედებს.

პ.

◆

კარგი წიგნი

ფრანგულ ენაზე დაიბეჭდა და გამოვიდა დ. შარაშიძის წიგნი ამ სათაურით: ჰ. ბარბიუსი, საბჭოები და საქართველო, კ. კაუცკის წინასიტყაობით. წიგნი და წინასიტყვაობა ორივე მიმართულია ბ. ბარბიუსის წინააღმდეგ, მაგრამ ისე კარგათ არის დაწერილი, რომ ეს უფრო ჩვენი მოძრაობის ისტორიაა, ვინემ საპოლემიკო თხუზულება. წიგნის ავტორს აურჩევია ისტორიული მეთოდი, მოკლეთ გადაშლა ჩვენი წარსულის და გზადაგზა ჩვენება იმის თუ რა სიყალბე შეიტანა ამ სინამდვილეში მოსკოვის ვექილმა. აქ მოთხრობილია სოც. დემოკ. მოძრაობის დაწყება, მისი გაშლა სხვადასხვა ასპარეზზე, მისი განსხვავება რუსეთის სოც. დემ. პარტიიდან. მისი ბრძოლა—რევოლიუციური, პარლამენტარული, ლიტერატურული, თებერვლის რევოლიუცია ჩვენში, ოქტომბრის გადატრიალება, ამიერ-კავკასიის და შემდეგ საქართველოს დამოუკიდებლობა, ნაციონალური მთავრობის რეფორმატორული მუშაობა, მოსკოვის შემოსევა, ბოლშევიკების საქმიანობა, აჯანყება. ერთი სიტყვით ამ ორას გვერდიან წიგნში განხილულია ჩვენი უკანასკნელი 30 წლის ვითარება. და რაც კიდევ უფრო შესანიშნავია ყველა ამას ასვამს თავის ავტორიტეტულ ბეჭედს კ. კაუცკი. მისი წინასიტყვაობა მთელი ბროშურაა (შეიცავს 56 გვერდს) საქართველოს სამსხვერპლოზე მიძღვნილი. აქ გამოთქმული აზრები სავსებით ეთანხმება ჩვენ მიერ არა ერთხელ გამოთქმულ აზრებს ნაც. საკითხზე. კაუცკი პირველ ყოვლისა განსაზღვრავს კულტურულ და ისტორიულ განსხვავებას საქართველოს და რუსეთისას. უჩვენებს პატარა სახელმწიფოს უპირატესობას დემოკრატიის განვითარების მსვლელობაში; ადარებს ამ მხრით ჩვენ ქვეყანას ათინის რესპუბლიკას.—ერთი სიტყვით ამართლებს სავსებით ჩვენ პრინციპიალურ პოზიციას რუს სოციალისტებთან პოლემიკაში. ავტორი ფარდას ხდის აგრეთვე ბოლშევიკურ მორალს, ეხება ბარბიუსს მკაცრად და ათავებს:

«საქართველო დემოკრატიული რესპუბლიკა ისევ აღიმართება, როგორც რუსის ხიშტი დასტოვებს ქვეყანას; ის ხელახლა დაიწყებს თავის არსებობას, გამდიდრებული, მართალია, მხოლოდ ულეველი სამწუხარო გამოცდილებით. ჩვენ მაინც უფლება გვაქვს მოველოდეთ, რომ ის მაშინ განახორციელებს იმას, რასაც ვიმედოვნებდით მისგან ამ ათი წლის წინათ—აჩვენოს აღმოსავლეთის ხალხებს გზა თანამედროვე დემოკრატიისაკენ და საბოლოოთ სოციალიზმისაკენ».

ეს წიგნი საუკეთესო საპრაპაგანდო საშვალებაა უცხოელებისათვის და აგრეთვე ქართველ ახალგაზდობისათვისაც, რომელიც ახლა იწყებს პოლიტიკურ ცხოვრებას, წასული ბრძოლა არ გამოუვლიათ და მას არც იცნობენ.

ნ.

◆

ექვთიმე კვაშალი

სიკვდილის ცელი გახშირებით ამუშავდა ამ ბოლო ხანებში ქართველ ემიგრაციის რიგებში. სხვა ახალგაზდათა შორის მან მოგვტაცა ექვთიმე კვაშალი.

ვინც ის მხოლოდ ემიგრაციაში გაიცნო—წყნარი, თავაზიანი, მორცხვი, უპრეტენზიო—, ვერც კი იფიქრებდა, რომ ექვთიმეს ძარღვებში უშიშარი მებრძოლის, ნამდვილი ვაჟკაცის სისხლი სცემდა. ის იმათთაგანი იყო ვინც წყნარ და მშვიდ პირობებში არ სჩანს, თვალში არ გეცემა, სამაგიეროთ თავს იჩენს გაჭირვების დღეებში, როცა განსაკუთრებული სიმაგრე, სიმხნევე და თავდადება საჭირო.

ბევრმა არც კი იცის, რომ ამ ახალგაზდა კაცს იშვიათი დამსახურება ჰქონდა მისი ერის გამათავისუფლებელ ბრძოლაში. 1924 წლის სექტემბერში, აჯანყების დამარცხების ხანაში, როცა ათასების საფლავი უკვე გათხრილი იყო, სხვები კიდევ ციხე-ციმბირებში ყავდა მტერს, სასწაულით გადარჩენილ მებრძოლებს ჰაერივით სწყუროდათ უცხოეთთან დაკავშირება, ქვეყნიერებისთვის ნამდვილი ამბის მიწოდება აჯანყებაზე და მის მომყოლ ჟლეტაზე აქაური სულისკვეთების გაგება და ქართველი ხალხისთვის ცნობა იმ გამოხმაურებისა, რომელიც სისხლიანმა აგვისტო-სექტემბერმა ჰპოვა უცხოეთში. ამ კავშირის აღდგენა სასიცოცხლო აუცილებლობა იყო მებრძოლ ორგანიზაციებისათვის, მაგრამ რამდენათ ძნელი მისი განხორციელება! ყველა გზები გაკრული იყო, სანაპიროები სიმაგრეებათ გადაქცეული, ყველგან ჩეკა და რუსის ჯარი დაძრწოდა. აი ამ დროს გამოჩნდა ექვთიმე, ამ დროს გამოარჩიეს ის და, მის ერთგულ მეგობარ დ.—სან ერთად, დაავალეს მას მძიმე საქმე—უცხოეთთან კავშირის განახლებისა. ჯერ არ დამდგარა დრო ექვთიმეს თავდადების დაწვრილებით მოთხრობისა. ვიტყვით მხოლოდ, რომ ნაკისრი საქმე მან ბრწყინვალეთ შეასრულა, ათასი გაჭირვების და გამუდმებულ საშიშროების მიუხედავათ; ის და მისი მეგობარი მუდამ სიკვდილს ეთამაშებოდენ თვეების განმავლობაში, მხნეთ, უშიშრად, ვაჟკაცურად. დადგა დრო, როცა მისი საქმის გაგრძელება მისთვის შეუძლებელი გახდა სრულიად გარეგნული პირობების წყალობით და ექვთიმე იძულებული გახდა ემიგრაციის გზას გაჰყოლოდა, იმ გზას, რომელზედაც მან გამოიყვანა, ხშირად მისი ზურგით, წყალში და თოვლში, ტყით და კლდით, მრავალი ათეული ლტოლვილი, აჯანყების შემდეგ რომ სიკვდილს გამოექცნენ.

და აი, ემიგრაციაში ის კვლავ დაუბრუნდა უჩინარ ცხოვრებას. მაგრამ მალე დასნეულდა, და ეს ვაჟკაცი, ასე ადვილათ რომ იტანდა შიმშილს და სიცივეს, ქარბუქს და წვიმას, აქ მყუდრო ცხოვრებაში ნელ-ნელა დაჭკნა და აკი ჩაგვქვლია ხელში. თითქოს ბრძოლის ცხოველ ჰაერს შეჩვეულმა ვაჟკაცმა ვერ გაუძლო ემიგრაციის დამდგარ, ჭაობისებურ ცხოვრების ატმოსფერას.

ზამთრის სუსხში შორეულ, უცხო სასაფლაოს მივაბარეთ ჩვენი ექვთიმე. მაგრამ როცა ქართველ ემიგრაციას დაუდგება თავისი გაზაფხული, ის წმინდა მოვალეობათ ჩასთვლის ექვთიმეს ნაშთი მშობლიურ თბილ გურიას მიჰგვაროს და მისი ხსოვნა მშობელი ერის უკვდავ გულს მიაბაროს.

მეზობელი.

◆

ქართველი პოლიტ. ტუსაღები რუსეთში

მიღებული ცნობების თანახმად ქართველ პოლიტიკურ ტუსაღთა მდგომარეობა მეტად აუტანელია. უმეტესათ ჩვენ პოლიტიკურ ტუსაღებს აგზავნიან ნარიმის მხარეში, სალოვკებში. იქ ძალზე ცივა, თბილი ტანისამოსი არ აქვთ, ხელისუფლება თვეში მათ აძლევს 6 მანეთს და 25 კაპ. და როგორც იწერებიან ბევრ ადგილას ამ მშიერ დახმარებასაც უსპობენ. სიცივის და შიმშილის გამო ბევრი მათგანი დაავათმყოფდა და ჭლექის სენმა შეიპყრო. პოლიტიკური ტუსაღებისადმი მოპყრობა ჩვეულებრივი სისასტიკითა და შურისძიებით არის გაჟღენთილი. თუ რომელიმე სენით შეპყრობილმა ითხოვა ციმბირიდგან თურქესტანში გადაყვანა, თხოვნის დაკმაყოფილების მაგიერ მას სალოვკებში უკრავენ თავს, სალოკელს კი ასეთი თხოვნისათვის ორი-სამი თვით სჯიან, ცივ სარდაფში ამწყვდევენ და თბილი საჭმელის მიწოდებას სწყვეტენ. ბევრი შიმშილობის გამოცხადებით ებრძვის ხელისუფლების ასეთ მოპყრობას: მაგ. კალე ქვირიამ იშიმშილა პირველათ თუთხმეტი დღე, მეორეთ 25 დღე, მასთან იშიმშილა 24 ქართველმა. ამან გასჭრა და ყველანი გადმოიყვანეს კუნგურში, მარა საუბედუროთ ქვირიას გული გაუსკდა და გარდაიცვალა.

ნარიმში იმყოფებიან: უშანგი ელიავა, დათიკო მაყაშვილი.

ქ. ასტრახანში—გიორგი ახმეტელაშვილი, ვეკუა ვლადიმერ, ბაბუნაიშვილი ნიკოლოზ, კალანდაძე გიორგი, ინწკირველი სერგი, სულხანიშვილი სულხან, ტყეშელაშვილი ვარლამ, გიგინეიშვილი ბესარიონ, მეჩეხია იერემია, არეშიძე სევერიანე, კვაჭანტირაძე ერმილე, კოკაია დავი, მანაგაძე ბაგრატ, ანდღულაძე ანანია, ქვანია იოსები, წულეისკირი ივანე, ჭკუასელი გიორგი, სიხარულიძე ტარასი, გაბეხაძე ვლადიმერ, დვალიშვილი ჭიჭიკო, ჭანუყვაძე გიორგი, ჩეჩელაშვილი გრიგოლ. თოფურია კლემენტი, თარგამაძე ელიზბარ, ბარკალაია ივანე.

ვორონეჟში—მიხაკო ბაქუნაიშვილი და ქ. ყირიმში ანანია სალუქვაძე.

მაღაროელი.

◆

ჭლექით ავათმ. დამხმარე კომიტეტი

აგერ ერთი წელიწადია რაც კომიტეტი მუშაობს მეტად მძიმე პირობებში.

ემიგრაციის მძიმე პირობები—ძნელათ ასატანი ჰავა სამხრეთის მცხოვრებთათვის, მძიმე საბინაო პირობები - ამრავლებს ჭლექით ავათმყოფთა რიცხვს.

პარიზის ქართული კოლონია, რომელიც შესდგება 600-700 სულისაგან თუთხმეტი ჭლექით ავათმყოფი ყავს. ეს მეტად დიდი პროცენტია. ამავე დროს სამწუხაროთ, კომიტეტის სალარო ცალიერია და და ძალიან ხშირათ იძულებულია უარი უთხრას ავათმყოფებს დახმარებაზე.

ამ ჟამად კომიტეტს ყავს ორი მძიმეთ ავათმყოფი. ერთ მათგანს დაზიანებული აქვს ფილტვები და ყელი და ასეთი მძიმე ავათმყოფი უსახსრობის გამო ხშირათ რჩება ულუკმაპუროთ. მეორეს კი დაზიანებული აქვს ორივე ფილტვები და მიუხედავათ ამისა იძულებულია ლუკმა-პურისთვის განაგრძოს მუშაობა ქარხანაში. ექიმი კი ითხოვს მიეცეს ავათმყოფს ერთი თვის დასვენების საშვალება მაინც.

სამწუხაროთ, საწევრო გადასახდი სუსტათ შემოდის და ორას-სამას ფრანკს კი შეუძლია ადამიანი სიკვდილისაგან იხსნას.

მოვაგონებ რა ყოველივე ამას მივმართავ მხურვალე თხოვნით ჩვენ პარტიულ ამხანაგებს გულთბილათ მოეკიდონ კომიტეტის საქმეებს და დაუზარებლათ შემოიტანონ საწევრო გადასახადი კომიტეტის სალაროში, რათა საშვალება მიეცეს კომიტეტს იხსნას ავათმყოფნი ამ საშინელი სენისაგან.

კომიტეტის თავმჯდომ. ამხანაგი
ინა ჟორდანია.

„ბ რ ძ ო ლ ი ს ხ მ ა"-ს
გამოწერა შეიძლება შემდეგი მისამართით:
«L'ECHO DE LA LUTTE»
10, rue Jules-Ferry. Leuville-s-Orge (S.-et-O.)
France

მუშათა მოძრაობა და პოლიტიკა უცხოეთში

ორ ინტერნაციონალის შეერთებული სხდომა.

7 მარტს ქ. პარიზში, ემილ ვანდერველდეს და და სიტრინის თავმჯდომარეობით გაიმართა მუშათა სოციალისტურ ბიუროს და პროფესიონალურ კავშირთა ინტერნაციონალის (ამსტერდამის) შეერთებული სხდომა.

განსახილველი საგანი იყო ლონდონის საზღვაო კონფერენციით შექმნილი მდგომარეობა და მუშათა კლასის დამოკიდებულების გარკვევა.

კონფერენციამ ერთხმად მიიღო ვანდერველდეს მიერ წარდგენილი პროექტი მშრომელთა მიმართ მოწოდებისა.

მოწოდება აღნიშნავს, რომ გამარჯვებულმა სახელმწიფოებმა ვერსალის ზავით თავს მოახვიეს გერმანიას განიარაღება იმ მოსაზრებით, რომ ეს უნდა გამხდარიყო დასაბამი საყოველთაო განიარაღების. სამწუხაროთ, ეს დაპირება ცარიელ სიტყვათ დარჩა და ხალხთა ლიგასთან არსებულმა განიარაღების კომისიამ ჯერაც ვერ შესძლო გადაელახა დაბრკოლებანი განიარაღების საყოველთაო კონფერენციის მოსაწვევათ. მდგომარეობა გამოიცვალა მუშათა პარტიის გამარჯვებით ინგლისში, სადაც მაკდონალდის მთავრობა ენერგიულათ შეუდგა განიარაღების საქმეს და ამ მიზნით მოიწვია კონფერენცია. სამწუხაროთ, ზოგი სახელმწიფო, თუმცა მონაწილეობს კონფერენციაზე, განიარაღების საქმეს მრავალ დაბრკოლებას უყენებს, მოყავს რა მიზეზათ მოსაზრება ახალი თავდასხმისაგან უზრუნველყოფისა და აგრეთვე ეროვნულ პრესტიჟის დაცვის საჭიროება.

კონფერენცია მოუწოდებს სხვადასხვა ქვეყნის მშრომელთ ხმა ამოიღონ წინააღმდეგ ომის პოლიტიკისა დი ხელი შეუწყონ საყოველთაო მშვიდობიანობის დამყარებას.

ბულგარეთის სოც. დემოკრ. კონგრესი.

27 და 28 ოქტომბერს 0929 წ. გაიმართა ბულგარეთის სოციალდემოკრატიის მე-32 კონგრესი. დაესწრნენ 300-ზე მეტი დელეგატი. სოციალისტური ინტერნაციონალის სახელით კონგრესს მიესალმა დებრუკერი.

პარტიაში ითვლება 30.266 წევრი, ამათში 302 ქალი. პარტიასთან მოქმედებს ახალგაზდა სოციალისტთა ორგანიზაცია 1650 წევრით, აგრეთვე ქალ სოციალდემოკრატთა კავშირი 1209 წევრით.

კონგრესმა განიხილა და მიიღო სათანადო რეზოლიუციები შემდეგ საკითხებზე: 1) მუშათა კლასის მდგომარეობა; 2) კოოპერატიეები და ცხოვრების გაძვირება და 3) პარტიის პოლიტიკური საქმიანობა.

კომინტერნის გავლენის დაცემა.

ბელგიის კომუნისტურ პარტიას ამას წინათ ჩამოშორდა ტროცკისტთა ოპოზიციონური ფრთა. პარტია თითქმის ორ თანასწორ ნაწილად გაიყო. გათიშვის შემდეგ კომუნისტურ პრესა: [illegible] შეიქნა ყოველდღიური ორგანო [illegible] ყოველკვირეულ გამოცემათ გადაეკეთებია. უსახსრობის გამო ამ ბოლო დროს ეს ორგანო სრულიად დაიხურა.

ავსტრიის კომუნისტური პარტია საბოლოოთ გაიხრწნა. ჯერ იყო და მას ჩამოშორდა მემარჯვენე ოპოზიცია. ახლა მას გამოეთიშენ ცნობილი მეთაურები პარტიისა, მათ შორის პარტიის ყოფილი თავმჯდომარე, ცენტრალურ კომიტეტის წევრები. ბევრი მათგანი ჩაეწერა ავსტრიის სოციალდემოკრატიულ პარტიაში.

11 და 12 იანვარს უტრეხტში მოხდა ჰოლანდიის სოციალდემოკრატიის არაჩვეულებრივი კონგრესი. განსახილველი საგანი იყო კოლონიალური საკითხი.

კონგრესმა მიიღო ამ საკითხის შესახებ განსაკუთრებული პროგრამა.

ასეთია ამ პროგრამის ორიოდე მუხლი:

1) სოციალდემოკრატია აღიარებს ყოველი პირობების გარეშე ეროვნულ დამოუკიდებლობის უფლებას.

2) მისი (სოციალდემოკრატიის) კოლონიალური საქმიანობა უნდა ცდილობდეს, პირველ ყოვლისა, განახორციელოს უფლება ერის დამოუკიდებლობისა, გადააქციოს რა ზედმეტათ უცხოელთა ბატონობა.

დაჩაგრულ ერთა ბრძოლა ეროვნულ დამოუკიდებლობისათვის, რომელიც, პირველ ყოვლისა, უნდა წარმოებდეს მათი საკუთარი ძალებით, ცდილობს არა მხოლოდ განათავისუფლოს დამორჩილებული ერები ეროვნულ და ეკონომიურ ჩაგვრისაგან, რითაც ის აკმაყოფილებს სოციალდემოკრატიის იდეალს, მაგრამ ის მჭიდროთ გადაბმულია სოციალდემოკრატიის ბრძოლასთან კაპიტალიზმის და იმპერიალიზმის წინააღმდეგ».

დასასრულ კონგრესმა სასტიკათ დაჰგმო მთავრობის მოქმედება ინდონეზიაში, სადაც შეიპყრეს ეროვნულ დამოუკიდებლობისათვის მებრძოლნი, და მოითხოვა მათი დაუყონებლივ განთავისუფლება, კრების, სიტყვისა და შეკავშირების სრული თავისუფლება და განაცხადა, რომ თანახმად წინა წლის კონგრესის დადგენილებისა «პარტია თავის უპირველეს მოვალეობათ აცხადებს ყოველი სასარგებლო საშვალებით მხარი დაუჭიროს ინდონეზიის ბრძოლას თავისუფლებისათვის».

შვეიცარია და საბჭოთა რუსეთი.

შვეიცარიამ არ იცნო რუსეთი და ამიტომ უკანასკნელს ამ ქვეყანაში დიპლომატიური წარმომადგენელი არა ყავს. ამის გამო დღეს დიდ კმაყოფილებას აცხადებს ბევრი მათთაგანიც, ვინც ცნობის მომხრე იყო, რადგან კომუნისტების ვერაგობა ახლა ყველასათვის აშკარაა. მარა ბოლშევიკებს, გარდა მალული აგენტების და კომუნისტებისა, ყავს შვეიცარიაში ვინმე ექიმი ბაგოცკი «საბჭოთა წითელი ჯვრის» წარმომადგენლათ. ასეთი წარმომადგენელის მუდმივი ყოლა შვეიცარიაში შესაძლებელი შეიქნა საბჭოთა რუსეთისათვის, რადგან აქ არის საერთაშორისო «წითელი ჯვრის» კომიტეტი. ბოგოცკის, რასაკვირველია, დიპლომატიური იმუნიტეტი არ აქვს და ამიტომ იძულებულია დიდი სიფრთხილით მოიქცეს თავის ბოლშევიკურ პროპაგანდა-ინტრიგებში. მოსკოვი მას ზოგიერთ პოლიტიკურ მისიასაც ანდობს ხოლმე. ამ ახლო ხანში პეტროგრადში განძრახულია პედაგოგიური გამოფენა და აი ამ გამოფენაზე მოწვევის მიმართვა ბოლშევიკებმა მისი ხელით გადასცა შვეიცარიის მთავრობას, რომელმაც არ მიიღო და უკან დაუბრუნა. ბოგოცკის ბოლშევიკურმა თავხედობამ სწორეთ აქ იჩინა თავი: ფედერალურ მთავრობის მიერ უკუგდებული მოწვევა კანტონალურ მთავრობებს დაუგზავნა. მაშინ იმავე მთავრობა ენერგიულათ ჩაერია და ჩვეულებრივ «რჩევის» სახით აუკრძალა კანტონებს რაიმე პასუხის ღირსათ გაეხადათ მოსკოვის მოციქული.

ბოგოცკის ასეთმა ქცევამ საზოგადო აზროვნება ძლიერ გააბრაზა. გაზეთები ლანძღვა-გინებას არ აკლებენ ბოგოცკის და მის გაძევებასაც მოითხოვენ.

„შევარდენი"

ქართველთა ემიგრანტულ ცხოვრებაში მოხდა ერთი აღსანიშნავი და სასიამოვნო მოვლენა. საბოლოოდ ჩამოყალიბდა «ქართული სპორტიული საზოგადოება «შევარდენი», რომლის წესდებაც დამტკიცებულია საფრანგეთის პოლიციის მიერ.

არ ვფიქრობთ რომ ქართული საზოგადოებისათვის საჭირო იყოს იმის მტკიცება თუ რამდენათ აუცილებელი და სასარგებლოა ჩვენთვის, განსაკუთრებით ემიგრანტულ პირობებში, სპორტის წარმოება და მისი განვითარება. ვინც თვალყურს ადევნებს დღევანდელ ცხოვრებას, დაინახავდა რა დიდი ყურადღებით ეპყრობიან სხვადასხვა წრეები მათი ერის ფიზიკურად განვითარების საქმეს ყველა ქვეყნებში, ქართველობას, უფრო ვინემ რომელიმე სხვა ერს, სჭირდება სპორტი და ყველა ის დადებითი მხარეები, რომელნიც მას მოსდევს.

დარწმუნებულნი ვართ რომ ქართველი საზოგადოება და ყველა ქართული დაწესებულებანი არ დასტოვებენ უყურადღებოთ ამ სასარგებლო წამოწყებას და გაუწევენ «შავარდენს» დახმარებას, მორალურს და მატერიალურს.

«ქართული სპორტული საზოგადოება
«შევარდენი»-ის გამგეობა.

შემოწირულებანი

ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ პოლონეთის ქართველმა საზოგადოებამ შემოსწირა:

გადასახლებულთა სასარგებლოთ—200 ზლოტი.

ტუბერკულიოზით დასნეულებულთა სასარგებლოთ—200 ზლოტი.

Rédaction et Administration :
M-r. D. Charachidsé.
26, rue des Bernardies. Paris 5e.

Le Gérant ; René Toussaint.

Arpajon— Imprimerie de *La Gazette de Seine-et-Oise*.